# ახალი განათლება

2013 წელი, 18 - 24 აპრილი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

№16 (610) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge




ლადო გუდიაშვილი

## 2013 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების თითოეული საგნის მაქსიმალური/მინიმალური ქულები და საგამოცდო დროის ხანგრძლივობა

| საგანი/ გამოცდა | მაქსიმალური ქულა | მინიმალური ქულა | გამოცდის ხანგრძლივობა |
|---|---|---|---|
| ქართული ენა და ლიტერატურა | 80 | 21 | 4 საათი |
| ზოგადი უნარები | 80 | 21 | ვერბალური ნაწილი 1 სთ. 30 წთ. |
| | | | მათემატიკური ნაწილი 1 სთ. 30 წთ. |
| უცხოური ენები | 100 | 21 | 2 საათი და 15 წთ. |
| ლიტერატურა | 80 | 21 | 4 საათი |
| მათემატიკა | 59 | 15 | 3 საათი და 30 წთ. |
| ისტორია | 80 | 21 | 2 საათი და 30 წთ. |
| გეოგრაფია | 70 | 18 | 3 საათი |
| ბიოლოგია | 75 | 19 | 3 საათი |
| ქიმია | 75 | 19 | 3 საათი და 30 წთ. |
| ფიზიკა | 75 | 19 | 3 საათი და 30 წთ. |
| სტუდენტთა საგრანტო კონკურსი | 42 | - | 2 საათი და 30 წთ. |
| აფხაზური ენა და ლიტერატურა | 40 | 11 | 4 საათი |

## 2013 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდის მაქსიმალური ქულები და საგამოცდო დროის ხანგრძლივობა

| ტესტის ნაწილი | მაქსიმალური ქულა | რამდენი ქულა შეადგენს კომპეტენციის მინიმალურ ზღვარს | დრო |
|---|---|---|---|
| წაკითხულის გააზრება | 23 | 6,9 | 70 წუთი |
| ანალიტიკური წერა | 20 | 6,0 | 70 წუთი |
| ლოგიკური მსჯელობა | 17 | 5,1 | 70 წუთი |
| რაოდენობრივი მსჯელობა | 20 | 5,0 | 70 წუთი |

*__შენიშვნა:__ ტესტის მოცემულ ნაწილში კომპეტენციის მინიმალური ზღვარი ითვლება გადალახულად, თუ აპლიკანტი დააგროვებს ამ ნაწილის შესაბამის ზღვრულ ქულაზე მეტს.*

***კონკურსში მონაწილეობის გასაგრძელებლად აუცილებელია, რომ მაგისტრანტობის კანდიდატმა საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ოთხი ნაწილიდან კომპეტენციის მინიმალური ზღვარი გადალახოს სამ ნაწილში მაინც.***

CMYK

ინფორმაცია

# სამინისტროს საქმიანობის ხუთი თვე

ლალი ჯელაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **გიორგი მარგველაშვილი** პროექტის – „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისთვის“ – ფარგლებში, ჟურნალისტთა კორპუსს შეხვდა და მათ შეკითხვებს უპასუხა.

შეხვედრის დასაწყისში მინისტრმა 2013 წელს განხორციელებულ სიახლეებსა და დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრა. გიორგი მარგველაშვილმა მოკლედ შეაჯამა სამინისტროს საქმიანობის ხუთი თვე.

## ზოგადი განათლება

❖ 2013-2014 სასწავლო წლისათვის, მთელი საქართველოს მასშტაბით, 2084 საჯარო სკოლის 650 000 მოსწავლე სასკოლო სახელმძღვანელოებს უფასოდ მიიღებს;

❖ 2013 წლის იანვრიდან პროექტი „სკოლების ხელმისაწვდომობა“ ამოქმედდა. დღეისათვის 330 საჯარო სკოლის 16000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო ტრანსპორტით. სამინისტრომ პროექტის გასახორციელებლად 2,6 მლნ. ლარი გამოყო.

❖ 2013 წლიდან მასწავლებლის შრომის ანაზღაურება 26%-60%-ით, ანუ 60-205 ლარით გაიზარდა და, რიგ შემთხვევებში, 554 ლარით განისაზღვრება, ხოლო თუ პედაგოგი, ამავდროულად, კლასის დამრიგებელია, მისი ანაზღაურება 626 ლარს შეადგენს და ა.შ. სერტიფიცირების შემთხვევაში, აღნიშნულ ხელფასს სერტიფიცირებული პედაგოგის დანამატი – 75 ან 125 ლარი – ემატება. გაზრდილ ხელფასს იღებს საჯარო სკოლის ყველა მასწავლებელი. ამ მიზნით, 50 მლნ. ლარით გაიზარდა სამინისტროს 2013 წლის ბიუჯეტი.

სკოლების რეაბილიტაცია MCC-ის (5-წლიანი საგანმანათლებლო პროექტი) პროექტის ფარგლებში:

❖ დასრულდა პირველი ფაზა, რომელიც მოიცავდა სარეაბილიტაციო სკოლების შერჩევას წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმების მიხედვით (სკოლის ფართი, მოსწავლეთა რაოდენობა, სოციალური ფაქტორი, გენდერული ბალანსი და ა.შ.). შეირჩა 150 სკოლა საქართველოს მასშტაბით. სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდება 5 წლის განმავლობაში. პირველი ტრანში მოიცავს 41 სკოლის სრულ რეაბილიტაციას საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, რომელიც განხორციელდება 2014 წლის გაზაფხულზე. ამჟამად, მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები. 2013 წლის ბოლომდე დასრულდება საპროექტო და ყველა მოსამზადებელი სამუშაო.

## უმაღლესი განათლება

❖ სახელმწიფო, წელს პირველად, უმაღლესი სასწავლებლების 17 სპეციალობაზე სწავლას დააფინანსებს;

❖ 2013 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე გასაცემი სახელმწიფო დაფინანსების წლიური მოცულობა, 2012 წელთან შედარებით, გაორმაგდა და შეადგინა 22 800 000 ლარი.

❖ აღდგა სრული და ნაწილობრივი დაფინანსების სისტემა პროგრამებზე, რომლებზეც წინა წლებში მხოლოდ 100%-იანი დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა არსებობდა. აბიტურიენტს, ნებისმიერ აკრედიტებულ პროგრამაზე ჩარიცხვისას, ექნება შანსი მიიღოს როგორც სრული, ისე 70%-იანი და 50%-იანი დაფინანსება;

❖ სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის დაფინანსების პროგრამების ფარგლებში, დაფინანსების ოდენობა გაორმაგდა;

❖ პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ ბიუჯეტი გაორმაგდა და შეადგინა 3 500 000 (სამი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი, რაც საშუალებას იძლევა გაორმაგდეს სტიპენდიანტთა რაოდენობა. პროგრამაში ჩართულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფუძნებული ათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

❖ 2012 წლის სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ 2423 სტუდენტს 2012-2013 სასწავლო წლის სწავლის საფასური დაუფინანსდა. საერთო თანხა შეადგენს 4 465 310 ლარს.

## პროფესიული განათლება

პროფესიული განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობისათვის დაგეგმილია 15 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებს (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, კოლეჯები, სკოლები), რომლებიც ახორციელებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

## სკოლების რეაბილიტაცია

❖ ადგილობრივ თვითმმართველობასთან კონსულტაციისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად, საქართველოს მასშტაბით 600-მდე საჯარო სკოლა, პრიორიტეტების მიხედვით, გაივლის რეაბილიტაციას. წარმოებული სამუშაოები მხოლოდ ხარისხზე იქნება ორიენტირებული;

❖ 2013 წელს, რეგიონებში, 20-მდე საჯარო სკოლაში გაზიფიკაცია განხორციელდა, იგეგმება 42 საჯარო სკოლის გაზიფიკაცია;

❖ რეგიონებში 20-მდე საჯარო სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაცია განხორციელდა;

❖ დაგეგმილია რამდენიმე სკოლის შენება (რაოდენობა შესათანხმებელია);

❖ ამ ეტაპზე სკოლა შენდება კასპის რაიონის სოფელ ხოვლეში და პროფესიული სასწავლებელი ამბროლაურში;

❖ წელს ყველა პირველკლასელი მიიღებს კომპიუტერს;

❖ სკოლები აღიჭურვება ახალი სასკოლო ინვენტარით.

* * *

შეხვედრაზე ჟურნალისტებს საშუალება მიეცათ მინისტრისთვის აქტუალურ თემებზე დაესვათ შეკითხვები. უფასო სახელმძღვანელოების დარიგებასთან დაკავშირებით, საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობაა. ბევრი კმაყოფილია ამ გადაწყვეტილებით, მათ შორის სახელმძღვანელოების ავტორთა ნაწილი. თუმცა, გამომცემლები აღნიშნავენ, რომ განათლების სამინისტრო მათ ინტელექტუალურ საკუთრებას ართმევს, სარჩელსაც ამზადებენ და აპირებენ სასამართლოში შეტანას, ასევე, აპირებენ მიმართონ საერთაშორისო ასოციაციასაც. იმავდროულად აღნიშნავენ, რომ განათლების სამინისტროსთან დიალოგისთვის მზად არიან. ბრიფინგზე გიორგი მარგველაშვილმა ვრცლად ისაუბრა, თუ როგორია მისი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით.

– გუშინ შევხვდი ავტორებს და შოკირებული ვიყავი იმ გროშებით, რომელსაც, თურმე, ავტორები, ხშირ შემთხვევაში, იღებდნენ გამომცემლობებისგან. ეს პოლიტიკა შეიცვლება და ის სამუშაო, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შეუკვეთავს ავტორებს, ბევრად უფრო ღირსეულად ანაზღაურდება. ეს იმ პოლიტიკის ნაწილია, რომელსაც ყველა მიმართულებით ვახორციელებთ. გამომცემლებთან მიმართებაში ასეთი ვითარებაა: არიან გამომცემლობები, რომლებიც იაზრებენ სიტუაციას, იაზრებენ იმას, რომ, ფაქტობრივად, მოსახლეობის მუდმივად გაღატაკების პოლიტიკა საქართველოში დამთავრდა და გადავდივართ თანამშრომლობის რეჟიმში. ბუნებრივია, ამ გამომცემლებთან დიალოგი კი არ დაიწყება, არამედ გაგრძელდება, რადგანაც ის ბოლო ხუთი თვის განმავლობაში მიმდინარეობს. მინდა ხაზი გავუსვა, რომ ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის პირველი დღიდანვე განვაცხადე, რომ სახელმძღვანელოს ფასი უნდა შემცირდეს. ეს არ არის დამალული პოლიტიკა, შეგიძლიათ ნახოთ პირველივე განცხადებები, სადაც ვსაუბრობ იმაზე, რომ სექტემბერი მშობლებისთვის ეკონომიკური კატასტროფის თვე გახდა, ხოლო აგვისტო – წამების თვე, რიგებში დგომით. ეს უნდა დასრულდეს. ბუნებრივია, გამომცემლობებთან გავაგრძელებთ თანამშრომლობას, როგორც წინა წლის პრობლემებთან დაკავშირებით (მათ პრობლემები აქვთ ნაშთებთან მიმართებაში), ასევე მომავალი თანამშრომლობის თვალსაზრისით. სახელმძღვანელოების პრობლემის გადაწყვეტა უკვე დაიწყო. მათი დახვეწა ყოველთვის შეიძლება, რაშიც მონაწილეობას მიიღებენ ავტორები, დამკაბადონებლები, რედაქტორები, მხატვრები და ა.შ. ყველა ამ ადამიანის შრომა ადეკვატურად დაფასდება, მაგრამ ეს არ მოხდება ადამიანების ეკონომიკური გაღატაკების ფონზე.

ახლა, რაც შეეხება სამართლებრივ მხარეს – განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მოქმედებს მთლიანად იმ კონტრაქტის ფარგლებში, რაც დაგვხვდა, ვინაიდან ჩვენ სამართლებრივ სახელმწიფოში ვცხოვრობთ და სამართალი ჩვენთვის მთავარი ამოსავალია, თუნდაც ასეთი მტკივნეული პოლიტიკური პრობლემების მოგვარების კონტექსტში. შესაბამისად, არსებობს სამართლებრივი მხარე, რომელშიც ბოლომდე ვიცავთ კონტრაქტის პუნქტებს და, სხვათა შორის, იმედი მაქვს, გამომცემლობები, რომელთაც ანგარიშებზე დაუჯდებათ ახლა მილიონი, ისე არ მოექცევიან ავტორებს, როგორც აქამდე. მათ ისევე პირნათლად უნდა შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები ავტორებთან, როგორც ჩვენ ვასრულებთ იმ ვალდებულებებს, რაც კონტრაქტით დაგვხვდა. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ვასრულებთ იმ კონტრაქტის პირობებს, რასაც მათ მოაწერეს ხელი. აქვე გეტყვით იმასაც, რომ გამომცემლობებთან მიმდინარეობს მოლაპარაკება ნაშთის შეძენის თაობაზე.

ამ წუთას ზუსტი მონაცემებით საუბარი მიჭირს, მაგრამ, ჩვენი ვარაუდით, ყოველწლიურად, 9 წლის განმავლობაში, ბაზარი 50-დან 80 მილიონ ლარამდე ადიოდა. ეს არის გარანტირებული თანხა, რომელიც ქართველი მოსახლეობის ჯიბიდან ამოდიოდა. იმ ვითარებაში, როცა საარსებო მინიმუმი 133 ლარია, ხოლო საშუალო შემოსავალი –141 ლარი. ამ ორ მონაცემს შორის განსხვავება მხოლოდ 8 ლარია, ამდენი თანხა ამოდიოდა მოქალაქეების ჯიბიდან. თანაც სახელმძღვანელო არ არის საბაზრო პროდუქტი, ეს არის პროდუქტი, რომლის ყიდვის არჩევანიც ადამიანს არ აქვს – ან უარი უნდა თქვას შვილის განათლებაზე, ან არადა, ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდეს, როგორშიც გუშინ რუსთაველი მოსწავლეები ვნახე, რომლებსაც უხდებოდათ ცალკე ქაღალდის შოვნა, შემდეგ ქსეროქსის გადაღება და გაკვეთილების ამგვარად სწავლა. ასეთი სახელმძღვანელოებით სწავლობდა, 19 ათასი რუსთაველი მოსწავლიდან, 3 ათასი. ეს რეალობაა. სქემის ანალიზი არ შედის ჩემს კომპეტენციაში, მაგრამ კითხვები ბუნებრივად ჩნდება – როდესაც სახელმწიფოს ეს ყველაფერი 12 მილიონი ლარი დაუჯდა, რაც ქუთაისის პარლამენტის ერთი შესასვლელის ან „ანბანის“ კოშკის ერთი ფლიგელის ან პრეზიდენტის ვერტმფრენების ერთი სალონის ფასია ან, თუნდაც – 7 ვილიდან ერთ-ერთის მოპირკეთების ფასი. ვფიქრობ, დღეს ამ სისტემის შენარჩუნება დანაშაული იქნებოდა. ამის მოგვარება შესაძლებელია, დაახლოებით, იმ თანხით, რაც შარშან სოციალურად დაუცველი ბავშვების სახელმძღვანელოებისთვის იყო გამოყოფილი.

რაც შეეხება გამომცემლებს, ცხრა წლის განმავლობაში, ვფიქრობ, გარკვეულწილად ანაზღაურდა ის დიდი ღვაწლი, რაც გამომცემლებმა გასწიეს. 9 წლის განმავლობაში, საშუალოდ, 50 მილიონი ლარის ბაზარი იყო, გადაამრავლეთ ეს ცხრა წელზე – ნახევარი მილიარდი ლარი, რომელიც ამოღებულია ადამიანების ჯიბიდან, რომელთაც რეალურად უკიდურესად უჭირდათ. ეს ბაზარი ცხრა წელი მათ განკარგულებაში იყო. რომელ სამართლიანობაზეა საუბარი? გეგონება, წილებს ვიყოფთ. მათ ანგარიშზე მილიონი ჯდება, კეთილი ინებონ და იმ ავტორებს, რომლებსაც მართლა კაბალური პირობებით ამუშავებდნენ, ახლა მისცენ ფული. „ვის რამდენი შეხვდება“ – ეს მორალური დილემა არ მქონია, მქონდა საკანონმდებლო და იურიდიული პროცესი, რომელშიც მართალი ვარ და მქონდა მორალური პროცესი – ბავშვებისთვის, რომლებსაც ტანსაცმელი და ფეხსაცმელი არ ჰქონდათ, მშობლებს ფული არ მოეკლოთ.

კანონის სრული დაცვით ვმოქმედებ, იმ კონტრაქტების მიხედვით, რომელიც მათ შაშკინთან გააფორმეს. ძალიან მომწონს, რომ შაშკინთან კარგად იყვნენ და ჩემით კი გაოცებულები არიან. გააგრძელონ კოაბიტაცია შაშკინთან. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ვმოქმედებ კანონის სრული დაცვით – რაზეც ხელი მოაწერეს, იმ დოკუმენტით. მე არ ვფიქრობ იმაზე, თუ რა ჩადო მან კონტრაქტში, ვფიქრობ სხვა თემებზე – ბავშვებზე, სახელმძღვანელოებზე...

შესაბამისად, სქემების ანალიზი ჩემი კომპეტენცია არ არის. ჩემი კომპეტენცია პოლიტიკური მიმართულების მიცემაა და იმის თქმა, რომ საქართველოში ბავშვის და მშობლის უფლებები არ უნდა დაირღვეს და ამას ვაკეთებ. მონაცემების ანალიზში ჟურნალისტები უფრო კომპეტენტურები ხართ, შეგიძლიათ ჟურნალისტური გამოძიება ჩაატაროთ და შეიტყოთ, რა თანხები იყო დახარჯული ან რა კონტრაქტები აქვთ გაფორმებული გამომცემლებს ავტორებთან.

დღეს კიდევ ერთხელ გავახმოვანებ ავტორებთან შეხვედრას, გ ზავნილს, რომელიც მათ მითხრეს: „ნუ ამბობთ, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ჩუქნის ბავშვებს წიგნებს. სინამდვილეში, სახელმძღვანელოებს ვჩუქნით ჩვენ, რადგანაც, წლების განმავლობაში, ფაქტობრივად, არაფერს ვიღებდით“. ეს მითხრა რამდენიმე ავტორმა გუშინდელ შეხვედრაზე – „ჩვენ ამ პროცესში არ ვიყავით ის ხალხი, ვინც მილიონებს შოულობდა, ჩვენ ქვეყანას ვემსახურებოდით“. მინდა ხაზგასმით გითხრათ, რომ დღეს სახელმძღვანელოების ავტორები ამ აქციის – უფასო სახელმძღვანელოების – მონაწილენი არიან.

შეხვედრაზე იმაზეც ვისაუბრეთ, რომ ვაგრძელებთ თანამშრომლობას ავტორებთან, სახელმძღვანელოების დახვეწაზე. ავტორს სპეციფიკურად უნდა მისცე ინფორმაცია, თუ რა არის გამოსასწორებელი, როგორი მიდგომაა არასწორი და ა.შ. სხვათა შორის, რამდენიმე ავტორმა აღნიშნა, რომ ახლავე სურთ რაღაცის ჩასწორება სახელმძღვანელოებში. გარდა ამისა, სკოლებიდან ისმის კრიტიკა ამა თუ იმ დეტალებთან დაკავშირებით, რაც აუცილებლად გათვალისწინებული იქნება. ავტორებს ავუნაზღაურებთ პირდაპირ და არა უცნაური სქემებით. ჩემთვის აბსოლუტურად მოულოდნელი იყო, ასევე, ავტორებთან შეხვედრაზე იმის გაგება, რომ გამომცემლობებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან 5-წლიანი კონტრაქტი ჰქონდათ დადებული და ავტორებთან კი – ერთწლიანი იმ ნაშრომზე, რაც მათ შეუკვეთეს. ეს კონტრაქტები იყო ავტორებისა და გამომცემლობების კომერციული შეთანხმება, მაგრამ ბოლომდე არავინ იცავდა ავტორების უფლებებს. ჩვენ გავაგრძელებთ კონტრაქტებს და მათთან შესაბამისად ვიმუშავებთ. რაც შეეხება მაკმილანის სახელმძღვანელოებს, ასეთი კონტრაქტი არ არის, რაც მისი გაწყვეტის შესაძლებლობას მოგვცემდა, შესაბამისად, მაკმილანისგან ვყიდულობთ წიგნებს.

„საავტორო უფლება“ – როცა ამ ფრაზას ვამბობთ, უნდა გვესმოდეს, რომ საავტორო უფლება კონკრეტული იურიდიული შეთანხმებაა, კონკრეტული კონტრაქტის ნაწილია, შესაბამისად, როგორ შეიძლება ის დარღვეული იყოს, თუკი მე კონტრაქტს ვიცავ.

რაც შეეხება სახელმძღვანელოების ხარისხს, ბეჭდვის ხარისხი ამაღლდება, რადგან სტანდარტის დაცვა და გაკონტროლება მოხდება, თუნდაც უვნებლობასთან მიმართებაში. ასევე, ვმუშაობთ სახელმძღვანელოების წონისა და ზომის შემცირებაზე. სტამბებთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს, რომ მოხერხდეს წიგნების უფრო მცირე ერთეულებად დაშლა და, შესაბამისად, ბავშვები სქოლიოზისთვის განწირულები არ იყვნენ. ასევე იგეგმება წიგნებისა და სამუშაო რვეულების განცალკევებაც, რათა სახელმძღვანელოს ბეჭდვა ყოველწლიურად არ იყოს აუცილებელი.

სტამბების შერჩევის კრიტერიუმია ფასთა მოკვლევა. საქართველოში არსებული ყველა სტამბა, რომელიც მზადაა ამ მასშტაბის შეკვეთა მიიღოს, შეკვეთას მიიღებს. ამ ეტაპზე, 4 სტამბაზეა საუბარი, თუმცა მათი რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს. არა მგონია, თითო-ოროლა სტამბამ შეძლოს ამხელა დაკვეთის შესრულება. უპრეცედენტოდ დიდი შეკვეთაა ქართული სტამბებისთვის და, იმედია, შესაბამისად, სიმძლავრეებსა და ხარისხს გაზრდიან. ეს სტამბებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობა იქნება და ასევე – დისტრიბუციის.

წიგნები გადაეცემა სკოლას და არა მოსწავლეებს, მოსწავლე ვალდებული იქნება, წლის ბოლოს დაუბრუნოს სახელმძღვანელო სკოლას, ხოლო ვინც არ დააბრუნებს წიგნს, მისი შესყიდვა მოუწევს.

ახლა, რაც შეეხება კერძო სკოლებს, რა თქმა უნდა, პრობლემაა მათ რომ ვერ ვაძლევთ უფასო სახელმძღვანელოებს. პირველ ეტაპზე გვინდოდა, დიფერენციაციის გაკეთება და ლოგიკურიცაა, რომ კერძო სკოლა ფასიანია და იქ უფრო შეძლებული ოჯახების სეგმენტია. თუმცა, კერძო სკოლებში, სოციალურად დაუცველი ჯგუფებიც არსებობს, რომლებსაც სახელმძღვანელოებს უფასოდ დავურიგებთ.

განხილვა

# სკოლების მართვის ახალი მოდელი

* * *

სკოლის ცხოვრება საზოგადოების ინტერესის საგანი ყოველთვის იყო და არის, თუმცა იგივე საზოგადოება გულგრილია და არ გრძნობს თავის წილ პასუხისმგებლობას სკოლის საქმიანობის გაუმჯობესების საქმეში.

ჩემთვის, როგორც სკოლის დირექტორისათვის, მნიშვნელოვანია, თუ ახალი სტრუქტურის შექმნით ხელი შეეწყობა თემის, დონორი ორგანიზაციებისა და სხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების დაინტერესებას და ჩართულობის უზრუნველყოფას სკოლის პრობლემების მოგვარებაში.

თუ სასკოლო ოლქები მოახერხებენ იყვნენ ობიექტურნი გადაწყვეტილებების მიღებისას, მაშინ ამ სტრუქტურის ამოქმედება გამართლებული იქნება როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის, ისე თემისათვის. საკითხების გადაწყვეტისას საზოგადოების ჩართულობა ერთგვარი გარანტი შეიძლება გახდეს, რომ სკოლების სარეაბილიტაციოდ სახსრების გამოყოფისას გამოირიცხება მიკერძოებულობა და პროტექციონიზმი და გამოყოფილი სახსრების ხარჯვაც მიზნობრივად და გამჭვირვალედ მოხდება.

რასაკვირველია, ჩნდება არსებითი ხასიათის შეკითხვებიც:

- რა პრინციპით შეირჩევა სასკოლო ოლქის 6 არჩევითი წევრი.
- როგორ მოხდება მათი გათვითცნობიერება ფუნქციებით განსაზღვრულ სპეციფიკურ საკითხებში: სასწავლო გეგმა, სკოლის განვითარების სტრატეგია, ოლქის სასკოლო პოლიტიკის განსაზღვრა, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ცოდნა.
- რა პერიოდულობით და კრიტერიუმებით მოხდება სკოლის ანგარიშის განხილვა.
- სამეურვეო საბჭოებისა და სკოლის ადმინისტრაციების ურთიერთობების რამდენიმეწლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე, რამდენადაა სასკოლო ოლქის მოვალეობების განხორციელება ენთუზიაზმის ხარჯზე.
- კარგად ვიცნობ რა, საგანმანათლებლო რესურსცენტრების მწირ საკადრო შესაძლებლობებს, საინტერესოა, როგორ მოხდება ოლქის წევრად ამ ცენტრის თანამშრომლის შერჩევა, თანაც საბჭოს მდივნის სტატუსით, რაც, ჩემი აზრით, შრომატევადი ფუნქციაა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მოუწოდა ფართო საზოგადოებას, მონაწილეობა მიიღოს მართვის ამ ახალი მოდელის შემუშავებაში.

ვფიქრობ, ამგვარმა თანამშრომლობამ ხელი უნდა შეუწყოს ავტორიტეტული, სამართლიანი და კვალიფიციური სტრუქტურის ჩამოყალიბებას. ამ შემთხვევაში, მოგებული დავრჩებით ყველანი.

**მედეა სამსონია**

*სსიპ თბილისის №55 საჯარო სკოლის დირექტორი*

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული ახალი სტრუქტურა – სასკოლო ოლქი, მესტიის რაიონის სკოლებს, სავარაუდოდ, სამ ოლქად დაყოფს. დღემდე კი იყო სამეურვეო საბჭო. მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭუბერის საჯარო სკოლაში სამეურვეო საბჭო სამგზის იყო არჩეული. ერთადერთი, რაც სამეურვეო საბჭომ შეძლო, ეს იყო: დირექტორების არჩევა, ბიუჯეტის, შინაგანაწესისა და საათობრივი ბადის შეთანხმება. ურთულეს პერიოდში სკოლაში მუშაობის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართვა, უმეტესწილად, დაუძლეველ პრობლემად იქცა. გარკვეულწილად, ამას განაპირობებს რთული კლიმატური პირობები, ხანგრძლივი ზამთარი, ხანმოკლე დრო სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის. თუ სასკოლო ოლქის საბჭო, თავისი კონკრეტული შემადგენლობით, იმუშავებს ამ საკითხების მოსაგვარებლად – სკოლის დირექციას მიაწოდებს რეკომენდაციებს, შეისწავლის და სამართლიანად წარუდგენს განათლების სამინისტროს ოპტიმიზაციასა და სექტორების დამატებასთან დაკავშირებულ წინადადებებს, შეძლებს მოლაპარაკებას დონორებთან სასკოლო პროექტებისათვის დამატებითი რესურსების მოძიების მიზნით, მოახერხებს თვითმმართველობაში მიმდინარე პროექტების კოორდინაციას – ვფიქრობთ, გაიზრდება სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგიური კოლექტივის მოტივაცია. უმთავრესი, რაც სასკოლო ოლქის არსებობის შექმნის გამართლებად მიგვაჩნია, გახლავთ ზემო სვანეთის ხეობის სპეციფიკის თაობაზე კომპეტენტური ინფორმაციის მიწოდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის.

**ნატო სუბელიანი**

*ჭუბერის საჯარო სკოლის დირექტორი*

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, იქმნება ახალი სტრუქტურა – სასკოლო ოლქი, რომელიც რამდენიმე სკოლას გააერთიანებს. ახალი მოდელი დაფუძნებულია ამერიკულ და ევროპულ გამოცდილებაზე. საკმაოდ დიდი პერიოდი ვიმყოფებოდით ტოტალიტარული მემკვიდრეობის გავლენის ქვეშ. ჩვენი საბოლოო მიზანი ქვეყანაში დასავლური სტანდარტების შესაბამისი განათლების მიღწევაა, ამიტომაც სისტემური ცვლილებების საყრდენი განათლების სივრცის დემოკრატიზაცია უნდა იყოს.

რამდენიმე წლის წინ სკოლების ფუნქციონირებაში სამეურვეო საბჭოების გამოჩენა განათლების სივრცის დემოკრატიიზაციისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯებია. ვერ ვიტყვი, რომ სამეურვეო საბჭოებმა მათზე დაკისრებული მოვალეობები პირნათლად შეასრულეს, მაგრამ სკოლის ცხოვრებაში აქტიურად ჩაერთნენ საზოგადოების წარმომადგენლები, რაც ამ პერიოდამდე ვერ ხერხდებოდა.

ამ ეტაპზე, ახალი მოდელის მიხედვით, სკოლის დეცენტრალიზებულ მართვაში ახალი თვითმმართველი რგოლი ჩაერთვება. ჩემი აზრით, მოდელი კარგია, მით უმეტეს, რომ ამ გაერთიანებაში, დაახლოებით, ათი სკოლა შედის და საზოგადოების ფართო ფენებისთვის ნათელი გახდება, რა პრობლემების წინაშე დგას სკოლა და დაისახება მათი გადაჭრის გზები. შესაბამისად, ათი სკოლის ერთი თვითმმართველი რგოლი უფრო მეტად შეუწყობს ხელს სკოლებს შორის თანამშრომლობას. რგოლში მყოფი თითოეული სკოლის პრობლემა შესაძლებელია ერთობლივად გადაიჭრას. სასკოლო ოლქის საბჭოს წევრები, რომლებშიც წარმომადგენლები ეყოლებათ როგორც რესურსცენტრსა და სამინისტროს, ასევე თვითმმართველობას, თვალნათლივ დაინახავენ სკოლის პრობლემებს და შესაბამის ორგანოებში მიიტანენ თითოეული სკოლის „გასაჭირს". მიმაჩნია, რომ სასკოლო ოლქის საბჭოს წევრების მუშაობა დაფინანსებული უნდა იყოს, ამ შემთხვევაში, მათი საქმიანობა უფრო ეფექტური იქნება.

**დოდო დოლიძე**

*აბაშის №1 საჯარო სკოლის დირექტორი*

* * *

გავეცანი სასკოლო მართვის ახალ მოდელს. ჩემთვის გაუგებარია რატომ უნდა იყოს ყველა ოლქში ფიქსირებული 9 წევრი, რადგან სასკოლო ოლქში შესაძლებელია სკოლების სხვადასხვა რაოდენობა იყოს.

საინტერესოა, რა პრინციპით მოხდება ოლქში 6 არჩევითი წევრის არჩევა.

სასკოლო ოლქის ფუნქციონირება და საქმიანობა ხელს შეუწყობს სკოლების თანამშრომლობას და ინტეგრირებას, ამ თვალთახედვით, სასკოლო ოლქის არსებობა პოზიტიურ მოვლენად მიგვაჩნია.

მნიშვნელოვანია სასკოლო ოლქის წევრების კვალიფიკაცია და კომპეტენცია, რადგან ისინი განსაზღვრავენ სკოლის ძირითად მიმართულებას – ბიუჯეტს და სასწავლო გეგმას.

სასკოლო ოლქის წევრთა შერჩევა არ უნდა მოხდეს პოლიტიკური ნიშნით. საზოგადოებისათვის წინასწარ უნდა გახდეს ცნობილი, რა პრინციპებით და კრიტერიუმებით მოხდება სასკოლო ოლქის წევრთა არჩევა.

მიგვაჩნია, რომ სასკოლო ოლქის წევრთა საქმიანობა ანაზღაურებადი უნდა იყოს, რადგან მხოლოდ საზოგადოებრივ საწყისებზე დაფუძნებული საქმიანობა ნაკლებად ეფექტურია.

**ტარიელ კალანდაძე**

*ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის დირექტორი*

* * *

როგორც სკოლის დირექტორს, მიმაჩნია, რომ სკოლის მართვის ახალ მოდელზე გადასვლა გაზრდის კომუნიკაციის ხარისხს მშობლებს, მასწავლებლებსა და დირექტორებს შორის. ამავდროულად, ამაღლდება სკოლისადმი საზოგადოებრივი მხარდაჭერა.

მშობლებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ სასკოლო ოლქის მუშაობაში, შეეძლებათ ინფორმაცია მიაწოდონ სკოლის მოსწავლეების მშობლებს კონკრეტულ კითხვებსა და კანონებზე, რომლებიც გავლენას იქონიებს სკოლასა და მათ შვილებზე.

სასკოლო ოლქის საბჭოს უფლება-მოვალეობებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, საკითხები, რომელთა მოგვარებაც დღემდე არსებული ბიუროკრატიული მექანიზმების გამო გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, ადვილად მოგვარებადი იქნება (მაგ. კლასში მოსწავლეთა მაქსიმალურ რაოდენობასთან და სკოლის ქონების იჯარით გაცემასთან დაკავშირებული საკითხები).

სასკოლო ოლქი, სამეურვეო საბჭოსგან განსხვავებით, არ იქნება ორგანო, რომელიც რომელიმე ერთი სკოლის ინტერესების დასაკმაყოფილებლად იმუშავებს. მაგრამ, ვფიქრობ, უნდა შემუშავდეს კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პიროვნება, რომ დარეგისტრირდეს სასკოლო ოლქის წევრობის კანდიდატად და მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში.

თუ სწორი არჩევანი არ გაკეთდა, პროექტი, ალბათ, არ გაამართლებს.

**ლეილა ქოჩორაშვილი**

*ყვარლის №2 საჯარო სკოლის დირექტორი*

ინფორმაცია

## მინისტრმა ფასანაურის საჯარო სკოლას კომპიუტერები გადასცა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **გიორგი მარგველაშვილმა** ფასანაურის საჯარო სკოლა მოინახულა და საჩუქრად კომპიუტერები გადასცა. მინისტრი სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებსაც შეხვდა და მათ მიმდინარე სიახლეები და სამომავლო გეგმები გააცნო, ასევე დაინტერესდა სკოლის მდგომარეობით და არსებული პრობლემებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რამდენიმე ათეული კომპიუტერი ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა გადასცა. აღნიშნული კომპიუტერები, ფასანაურის საჯარო სკოლის მსგავსად, რეგიონების იმ საჯარო სკოლებს დაურიგდებათ, სადაც ამის ყველაზე მეტი საჭიროებაა.

ფასანაურის საჯარო სკოლაში 174 მოსწავლეა, აქედან 71 მეზობელი სოფლებიდან დადის სკოლაში და მათ 2013 წლის მარტიდან სასკოლო ავტობუსი ემსახურებათ, აქამდე მათ დღეში 18-28 კილომეტრის ფეხით გავლა უხდებოდათ.

სამინისტრომ, გასულ წლებში, სკოლაში ნაწილობრივი სარემონტო სამუშაოები განახორციელა, აღჭურვა ახალი ინვენტარით. სკოლის რეაბილიტაცია და სასკოლო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა ზაფხულშიც გაგრძელდება. ფასანაურის საჯარო სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლა ორიენტირებულია ხარისხიან სწავლაზე, გასულ წელს 17 კურსდამთავრებულიდან 14 სტუდენტი გახდა, 70%-50%-იანი დაფინანსებით. სკოლის კურდამთავრებულთა შორის ძალიან ბევრი ცნობილი და წარმატებული ადამიანია.

## სამოქალაქო განათლების პროექტის შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა

პროექტის „დემოკრატია იწყება შენით!" დასკვნითი, შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **ალუდა გოგლიჩიძემ**, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, ელჩმა **ფილიპ დიმიტროვმა**, კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის დირექტორმა **ჯანან ათილგანმა**, ასევე სომხეთისა და აზერბაიჯანის განათლების სამინისტროების წარმომადგენლებმა ევროკავშირის მიერ თანადაფინანსებული 1,8 მილიონ ევროიანი პროექტის „დემოკრატია იწყება შენით!" შედეგები შეაფასეს.

პროექტის „დემოკრატია იწყება შენით!" ფარგლებში, სხვადასხვა რეგიონისა და უმცირესობებით დასახლებული რაიონების ასობით მასწავლებელმა მომზადება გაიარა სამოქალაქო განათლების თანამედროვე მეთოდოლოგიით სწავლებაში. ათასობით მეთერთმეტეკლასელს შესაძლებლობა ჰქონდა, დემოკრატია საკუთარ თავზე გამოეცადა.

პროექტის განმახორციელებლების – გერმანიის კონრად ადენაუერის სახელობის ფონდის, ჰოლანდიის ედუარდო ფრაის ფონდის, სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური სწავლების სკოლების ინიციატივითა და ხელშეწყობით, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ახალგაზრდები აქტიური მოქალაქეობის მთავარი ღირებულებების იდეის ქვეშ გაერთიანდნენ. პროექტის შედეგად, სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა ასოციაცია და სამხრეთ კავკასიის ახალგაზრდული პარლამენტი შეიქმნა.



INTERNATIONAL YOUNG INVENTORS PROJECT OLYMPIAD

IYIPO.ge

INTERNATIONAL YOUNG INVENTORS PROJECT OLYMPIAD

# ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა VII საერთაშორისო ოლიმპიადა

25-27 აპრილი
თბილისი
საქართველო
2013








2013 წლის 25-27 აპრილს გაიმართება ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა VII საერთაშორისო ოლიმპიადა. სადაც მონაწილეობას მიიღებს 35 ქვეყნის 135 პროექტი, რომელსაც წარმოადგენს 270 მოსწავლე.

ოლიმპიადის გახსნის ცერემონია გაიმართება 25 აპრილს 15.30 საათზე სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“.

გთხოვთ გვეწვიოთ!

IYIPO

საკონტაქტო ინფორმაცია

თბილისი, გრიშაშვილის ქ. №51 ☎ 275 24 58; 275 44 94;
✉ Iyipo@iyipo.ge; info@iyipo.ge;

ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა საერთაშორისო ოლიმპიადა ტარდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით

EUROPEAN UNION

IBSU

# ქართული ენა – ერის საუნჯე



*„ქართველი კაცისთვის ცხოვრების უმთავრესი არსი დასაბამიდან იყო ენა, მამული, სარწმუნოება. ენა განძია ერისა, რომელსაც საკუთარი თავივით მართებს მოვლა-გაფრთხილება, შენახვა და დაცვა მომხდურთაგან. „რა ენა წახდეს...“ ვიცით და გვსმენია ამ დამაფიქრებელი, უფრო კი გამაფრთხილებელი ჩაგონების დანიშნულება და მიზანი... და თავგადაკლულები ვიცავთ უძველესსა და ულამაზესს, დედასავით სანუკვარსა და ტკბილხმოვანს, უმდიდრეს ენას ქართულს, თავს ვწირავთ, სიცოცხლეს ვანაცვალებთ მის შენარჩუნებას და დაფარვას. ვიცით ქართველებმა ჩვენი ენის ძალა და ფასი, მისი დანიშნულება და ღონე, რადგან მამულთან და სარწმუნოებასთან ერთად არნახული შემოტევებისგან გადარჩენილებსა და თავდახსნილებს, დღესაც ქართულად გვალაპარაკებს.“* – ამ მართალი და გულში ჩამწვდომი სიტყვებით დაიწყო ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი სასწავლო-საგანმანათლებლო, შემოქმედებითი საღამო – „ქართული ენა – ერის ღვთაებრივი საუნჯეა“, თბილისის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში 14 აპრილს. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ აფხაზეთისა და თბილისის 104-ე სომხური საჯარო სკოლების მოსწავლეები, კომპაქტურად ჩასახლებული აფხაზეთიდან დევნილი შემოქმედი ბავშვები, აფხაზეთის სტუდენტი ახალგაზრდობა და ინტელიგენცია.

საღამო გახსნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა **ალექსანდრე აპლაკოვმა**: *„აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ყოველ წელიწადს აღნიშნავს 14 აპრილს, ქართული ენის სახალხო დღესასწაულს. წელს ჩვენთვის ეს დღე განსაკუთრებულია, რადგანაც შევიკრიბეთ ისეთ წმინდა ადგილზე, როგორიცაა ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი, რომლის შესანიშნავ კოლექტივთან დიდი მეგობრობა გვაკავშირებს. ერთობლივი ინიციატივით არაერთი სასწავლო-საგანმანათლებლო, შემოქმედებითი პროექტი იქნა განხორციელებული, დღევანდელი დღეც ამის ნათელი დასტურია.*

*ჩვენი დიდი წინაპრები მამულის, ენისა და სარწმუნოებისათვის თავის გადადებას მიიჩნევდნენ უპირველეს მოვალეობად და ჩვენც სიმართლითა და სიყვარულით მივყვებით მათ გზას. სიმბოლურია ისიც, რომ წმინდა ილია მართლის მუზეუმში, ქართული ენის დღესასწაულზე, სტუმრად მოვიწვიეთ სომეხი ეროვნების ბავშვები, თბილისის 104-ე საჯარო სკოლის აღსაზრდელები, რომლებთანაც მეგობრობის მემორანდუმს დღეს უნდა მოვაწეროთ ხელი. ჩვენი სურვილია, აფხაზმა, ოსმა, სომეხმა და საქართველოში მცხოვრებმა ყველა ეროვნების ბავშვებმა ერთად შეძლონ აქტიური წვილის შიტანა ჩვენი ქვეყნის ერთიანობისა და ძლიერების საქმეში“.*

წარმოდგენილ იქნა ვიდეოკოლაჟი „ენა ერის საგანძურია“.

საღამოს მონაწილეებს მიესალმა 104-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ქალბატონი **ლალი ჯავახაძე**.

ღონისძიებაზე განხილულ იქნა შემდეგი თემები:

– „ენის საკითხები ქართველ კლასიკოსებში“ (მომხსენებელი – ილია ჭავჭავაძის მუზეუმის სამეცნიერო-საგანმანათლებლო განყოფილების გამგე **ნანა სახვაძე**);

– „1978 წლის 14 აპრილის მოვლენები და დედაენის დღის დაწესების მიზეზები“ (მომხსენებელი – აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მთავარი სპეციალისტი **ნონა ბერაია**);

– „უცხო სიტყვათა და ჟარგონების უარყოფითი გავლენა თანამედროვე სალიტერატურო ენის საკითხებში“ (მომხსენებელი – პროფესორი **ოთარ ჟორდანია**).

წარმოდგენილ იქნა თბილისის 104-ე სომხური საჯარო სკოლის მოსწავლეთა აქტივისა და აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირის „მომავლის ხმა“ ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციები: „ღმერთების ენავ, ქართულო“, „მეგობრობით ვართ ძლიერნი“.

**აიდა ბაზოიანი**, 104-ე საჯარო სკოლის მოსწავლე: *„ძალიან გვიხარია, რომ ქართული ენის დღეს აფხაზეთიდან დევნილ ბავშვებთან ერთად აღვნიშნავთ. გვსურს, რომ დედაენის დღე მომავალ წელს სოხუმში ვიზეიმოთ, ჩვენს აფხაზ თანატოლებთან ერთად და ვიმღეროთ ქართული, აფხაზური და სომხური სიმღერები“.*

**თეონა კვარაცხელია**, შემოქმედ ბავშვთა კავშირის წევრი: *„დღევანდელ ზეიმზე შევიძინე ახალი მეგობრები, რომლებიც პატივს მიაგებენ ქართულ ენას, სწავლობენ და მღერიან ქართველი პოეტებისა და კლასიკოსების ლექსებსა და სიმღერებს“.*

**საბა მაისურაძე**: *„აფხაზეთიდან დევნილ მოზარდებს დიდი სევდა გვაკავშირებს ჩვენს ძირძველ კუთხესთან, სადაც ოდითგანვე ქუხდა სიტყვა ქართული, რომელიც სამწუხაროდ დღეს იდევნება. მიუხედავად ამისა ჩვენი თანატოლები გალის რაიონის სკოლებში სიყვარულით სწავლობენ ილიას, აკაკის, ვაჟას, იაკობის ენაზე“.*

შემოქმედებით საღამოზე VIII კლასის მოსწავლემ, სოხუმელმა **მეგი მურღულიამ** წაიკითხა კონსტანტინე გამსახურდიას „ანბანთ ქება“, ირაკლი აბაშიძის „ხმა კატამონთან“ და ცნობილი ადამიანების გამონათქვამები დედაენაზე; საღამოზე ანსამბლ „შავლეგოს“ შესრულებით აჟღერდა ქართული საგალობლები და ხალხური სიმღერები.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს საჯარო სკოლებსა და თბილისის 104-ე სომხური საჯარო სკოლის მოსწავლეებს შორის გაფორმდა „მეგობრობის მემორანდუმი“.

ღონისძიების დასასრულს მონაწილეებმა ილია ჭავჭავაძის მუზეუმის ექსპონატები და დედაენის დღისადმი მიძღვნილი ნახატების გამოფენა დაათვალიერეს.

***ნონა ბერაია***

***აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სსიპ კინოცენტრის „აფხაზეთი“ მთავარი სპეციალისტი***

## საგანმანათლებლო პროექტი

**პროექტის სახელი** – ვართ ნოდარის ფესვის ამონაყარი

**პრობლემის განსაზღვრა** – გვინდა მეტი ვიცოდეთ მსოფლიო მნიშვნელობის მწერლის – ნოდარ დუმბაძის შესახებ, რომლის ფესვები ჩვენი რაიონიდან მოდის; გამორჩეულად ვაფასებდეთ და სათანადო პატივს მივაგებდეთ მშობლიური კუთხის ღვიძლ შვილს. გვსურს, კიდევ უფრო მეტი ინფორმაცია მოვიპოვოთ „მზიანი გულის მწერალზე“ და მის შესახებ სრულყოფილი წარმოდგენა შევუქმნათ თაყვანისმცემლების ფართო არმიას.

მწერლის მშობლიურ სოფელ ზენობანში (ხიდისთავის თემი) ჯერ კიდევ ცხოვრობენ ნოდარის თანამედროვენი. მათ შეუძლიათ მოგვაწოდონ ისეთი მასალა მწერალზე, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია.

ჩვენი კომპეტენცია საკმარისია პროექტით დასახული მიზნის მისაღწევად.

**პროექტის მიზანი** – მოსწავლეებმა შეძლონ საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი მასალების მოპოვება მწერლის შესახებ და უზრუნველყონ ამ მასალის მიწოდება საზოგადოების ფართო ფენებისთვის; შეძლონ ინტერვიუს აღება; მოიპოვონ სხვადასხვა წყაროში გაფანტული ინფორმაცია, დაახარისხონ და გამოუშვან ბროშურის სახით; შეძლონ საკუთარი აზრის გამოხატვა მწერლის შემოქმედების, ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ; შეძლონ მოპოვებული და შექმნილი ნამუშევრების, ფოტო და ვიდეომასალის პრეზენტაცია სკოლაში; გაიზარდოს მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში.

**ამოცანები** – პროექტის მსვლელობის დაგეგმვა; მწერლის ბიოგრაფიული მონაცემების, საბავშვო მოთხრობებისა და ლექსების გაცნობა; ლექსების დასწავლა და მათ მხატვრულ კითხვაზე მუშაობა; ფოტოების შეგროვება, მათი ინტერნეტში მოძიება; მწერლის ცნობილი ფრაზებისა და გამონათქვამების თავმოყრა; ჟურნალ-გაზეთებიდან ნოდარ დუმბაძის მისამართით ცნობილი ადამიანების გამონათქვამების თავმოყრა, მისდამი მიძღვნილი ლექსების დასწავლა; ჩოხატაურის ინტელიგენციის მიერ მწერლის პიროვნებისა და შემოქმედების შემფასებელი მასალის თავმოყრა; მწერლის ნაწარმოების – „სისხლის“ მიხედვით გადაღებული ფილმის ნახვა; სახლ-მუზეუმის დათვალიერება; შეხვედრა მწერლის ახლობლებთან, ბავშვობის მეგობრებთან და ფილმ „სისხლის“ გმირების როლების შემსრულებლებთან, მათგან ინტერვიუს აღება; ინტერვიუთი მოპოვებული მასალის დახარისხება და ბროშურის გაფორმება; პრეზენტაციისთვის მზადება; პრეზენტაცია; მონიტორინგი (დროდადრო შუალედური); შეფასება.

**განხორციელების გზები** – პროექტის მსვლელობა დაიგეგმა მთელ ჯგუფთან ერთად. შედგა სამუშაო გეგმა, შესასრულებელი აქტივობები გაიწერა დროის მიხედვით. მოხდა მწერლის საბავშვო მოთხრობებისა და ლექსების გაცნობა, გარჩეულ იქნა ყველა წაკითხული მოთხრობა, გაიმართა კამათი, დისკუსია. მოსწავლეებმა დაისწავლეს ლექსები, იმუშავეს მათ მხატვრულ კითხვაზე, მოაწყვეს ინსცენირება. შეაგროვეს ფოტოები, გადაუღეს ქსეროასლები; მოიძიეს ინტერნეტში, შეძლეს გადმოწერა და პრინტერით ამობეჭდვა. ფოტოები გამოყენებულ იქნა პრეზენტაციაზე. სხვადასხვა წყაროებიდან შეძლეს მწერლის ცნობილი ფრაზებისა და გამოთქმების ამოკრება, მათი დახარისხება და ერთად თავმოყრა. მოიპოვეს ნოდარ დუმბაძის მისამართით თქმული ხუტა ბერულავას, ჭაბუა ამირეჯიბის, ჯანსუღ ჩარკვიანის, ვახტანგ ჭელიძის და სხვათა სიტყვები, რომლებიც მწერალს ამ დიდმა ადამიანებმა სიცოცხლეში თუ სიცოცხლის შემდეგ უძღვნეს. აგრეთვე იპოვეს მწერლისადმი მკითხველის მიერ მიწერილი წერილები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნოდარ დუმბაძისადმი ვორონეჟიდან რუსი გოგონას მიერ მოწერილი წერილი: „ბებიაჩემი სახლიდან გავაგდე. როცა თქვენი „ბებია“ წავიკითხე, მის მოსაბრუნებლად წავედი“, ან კიდევ უკრაინელი ქალის მიერ მოწერილი წერილი: „შვილო, ნოდარ, მადლობელი ვარ, ამ შუა ზამთარში შენმა წიგნმა ქოხი გამითბო“.

პროექტის მონაწილე მოსწავლეებმა ძველი გაზეთებიდან ამოკრიბეს სიტყვები, რომლებიც მას სხვადასხვა დროს ჩოხატაურის ინტელიგენცია უძღვნა. ნოდარის შემფასებელ ადამიანთა შორისაა ჩვენი რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი მანანა ჯინჭარაძე, დამსახურებული პედაგოგი ლილი ჩხიკვიშვილი, სოფელ ჩაისუბნის ნ. დუმბაძის სახელობის საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი, დამსახურებული მასწავლებელი, პოეტი ლიანა თოდუა, გაზეთ „გურია ნიუსის“ ჟურნალისტი მანანა სურმანიძე და სხვები.

შემდეგ გაიმართა ფილმ „სისხლის“ ჩვენება. ბავშვებმა სიუჟეტი გულთან ახლოს მიიტანეს. იყო ემოციები, ცრემლები... ბოლოს ფილმი შეაფასეს (გადაღებულია უკრაინელი დამწყები რეჟისორის ირინა პრავილოს მიერ. როლებს ასრულებენ ნოდარის მშობლიურ სოფელში მცხოვრები ადამიანები: ქიშვარდი ბაბუა – რაულ სიხარულიძე, იულია ბებია – ნარგიზა დოლიძე, ნოდარი – გეგე ჩიგოგიძე).

სახლ-მუზეუმის დათვალიერების მიზნით, წინასწარ დავუკავშირდით მის დირექტორს თამაზ ჩიგოგიძეს, მივიღეთ თანხმობა სტუმრობის შესახებ. მოსწავლეთა მშობლების დახმარებით, შევძელით რაულ სიხარულიძესთან და ნარგიზა დოლიძესთან დაკავშირება. ვიპოვეთ მწერლის სკოლის მეგობარი გიორგი გუდავაძეც. შეხვედრა სახლ-მუზეუმში მოეწყო. მუზეუმის დათვალიერების შემდეგ მოსწავლეებმა გამართეს ღონისძიება. წაიკითხეს ნოდარის ლექსები და აგრეთვე ის ლექსები, რომლებიც ნოდარს უძღვნეს ქართველმა პოეტებმა. აიღეს ინტერვიუ.

სკოლაში დაბრუნების შემდეგ დახარისხდა ინფორმაცია და შეიქმნა ბროშურა სახელწოდებით „რაც ზენობანმა შემოგვინახა“. იგი შეიცავს შემდეგ რუბრიკებს: მოგონებები ნოდარზე, ხოტბა ნოდარს, ჩემი გულის მონაწური და ჩოხატაურის ინტელიგენცია ნოდარის შესახებ (ბროშურა სკოლის ბიბლიოთეკაში ინახება).

შემდგომ ამისა, მოსწავლეები მოემზადნენ პრეზენტაციისთვის, დაამზადეს მოსაწვევი ბარათები და გაიმართა პრეზენტაცია.

**შედეგები** – შეიქმნა ბროშურა, რითაც დაინტერესებული მკითხველი მეტ ინფორმაციას მიიღებს მწერლის შესახებ (ბროშურა სკოლის ბიბლიოთეკაში ინახება).



მოსწავლეებმა გამოთქვეს საკუთარი აზრი მწერლის შემოქმედების, ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

გაიუმჯობესეს ცოდნა, ისწავლეს ინტერნეტში მუშაობა, შრომა, საქმისადმი სწორი მიდგომა, აუმაღლდათ პასუხისმგებლობის გრძნობა, ისწავლეს ინტერვიუს აღება, ჯგუფური მუშაობა, ინფორმაციის დახარისხება; რაც მთავარია, თვითონ გაეცნენ უფრო ღრმად თავიანთი კუთხის შვილის პიროვნებას, ბიოგრაფიას, შემოქმედებას.

პროექტმა გაზარდა მშობლების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში.

**მონიტორინგი** – დაგეგმილი ღონისძიებების ცხრილის მიხედვით ხდებოდა აღრიცხვა და დაკვირვება ღონისძიების სწორად მიმდინარეობასა და შესრულებული აქტივობების ხარისხზე. პრობლემის წარმოქმნის დროს პროექტის მიმდინარეობას სწორი მიმართულება ეძლეოდა.

**შეფასება** – ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, მოსწავლეებმა გაიღრმავეს ცოდნა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ხელოვნებასა და ისტ-ში; მოახდინეს ამ ცოდნის ინტეგრაცია.

შექმნილ პროექტს მოსწავლეები განათავსებენ ინტერნეტში, რომელსაც გაეცნობიან მათი თანატოლები, დისკუსიაში შემოვლენ დაინტერესებული პირები, გააკეთებენ კომენტარებს. ამით პროექტი სარგებლობის მომტანი იქნება სხვებისთვის.

პროექტი სიცოცხლისუნარიანია, რაზედაც მიგვანიშნებს მოსწავლეთა დაუოკებელი სურვილი, გააგრძელონ აღნიშნულ თემაზე მუშაობა, შეხვდნენ ნოდარ დუმბაძის ოჯახის წევრებს, რომლებიც ხშირად ჩამოდიან მშობლიურ სოფელში მწერლის დაბადების დღეს – 14 ივლისს.

პროექტმა გაზარდა სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობა და განაპირობა სკოლის პოპულარობა.

პროექტი შეაფასა საზოგადოებამაც. ყველასთვის სასიამოვნო იყო ახალგაზრდა თაობისგან რაიონის ღვიძლი შვილის მიმართ ასეთი დიდი სიყვარულის გამომჟღავნება და დაფასება.

**პროექტის ხელმძღვანელი** – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ხევის საჯარო სკოლის სერტიფიცირებული მასწავლებელი **ქეთევან მამალაძე**.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა

# გასახელებლები

იდეის ავტორი – თამარ შარიქაძე, XIკლასი
პედაგოგი – ჯემსი ვეფხვაძე
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ლეღვანის საჯარო სკოლა
დირექტორი – მანანა კიკვაძე

მდიდარი და მრავალფეროვანია ქართული ფოლკლორი. ქართული ფოლკლორის გამოხატულებაა ხალხური პოეტური და მუსიკალური ნაწარმოებები, თეატრალური გამომსახველობითი ხელოვნება. ბევრი ლექსი, თქმულება, სიმღერა თაობიდან თაობას გადაეცემა, ახალი იქმნებოდა და იქმნება. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ფოლკლორისტიკა მეცნიერ-მკვლევართაგან კარგადაა შესწავლილი და დამუშავებული, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კიდევ მრავლადაა დარჩენილი საკითხები, რომელიც აუცილებელ შესწავლა-გამოქვეყნებას მოითხოვს.

ქართველი ხალხი, როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ხალხები, დიდად აფასებდა სახელოვან ადამიანებს – გმირებს, მეფეებს, მეცნიერებს, პოლიტიკურ მოღვაწეებს. მათ საქებარი მეტსახელებით მოიხსენიებენ. ამის შესანიშნავი მაგალითია: ვახტანგ გორგასალი, დავით IV აღმაშენებელი, დემეტრე II თავდადებული, გიორგი V ბრწყინვალე, დიდი მოურავი გიორგი სააკაძე. ბევრი მეფის თუ სხვა დიდებულის მეტსახელი მის უცოდინრობაზე ან სხვა უარყოფით თვისებაზე მიუთითებს. ამის საუკეთესო მაგალითია კახეთის მეფე გიორგის მეტსახელი – ავგიორგი. მოსახლეობისადმი არაადამიანური დამოკიდებულებისათვის, ქალაქებისა და სოფლების დაუნდობლად აოხრებისათვის, ქონების, პირუტყვის და ადამიანთა გატაცებისათვის უწოდა მას ხალხმა ავი გიორგი და ეს ავი მეფე თავის სიავეს შეეწირა.

ზემო იმერეთის ზოგიერთ სოფელში ბევრ ადამიანს, უფრო მეტად სოფლელთა გარკვეულ ჯგუფს, შერქმეული აქვს დამახასიათებელი მეტსახელი, რომელსაც გასახელებელს უწოდებენ. როცა წამოვიზარდე, დავინტერესდი, რატომ ჰქონდა შერქმეული ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს ასეთი გასახელებლები, ვინ და როდის შეარქვა. მიმდინარე სასწავლო წლის ნოემბერში მასწავლებელმა, ჯემსი ვეფხვაძემ გამოგვიცხადა, რომ გაზეთი „ახალი განათლება“ უფროსკლასელებისათვის აცხადებს კონკურსს „გაიგე მეტი შენი კუთხის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“. აგვიხსნა კონკურსის მოთხოვნები და თემის დაწერა მირჩია. დაგვიანების გამო, კონკურსში მონაწილეობას ვერ მოვასწრებდით, მაგრამ მაინც გადავწყვიტე დამეწერა თემა გასახელებლების შესახებ და საზოგადოებისთვის გამეცნო.

ხალხის სიბრძნეზე მეტყველებს შერქმეული მეტსახელების უმეტესობა, მათში კარგადაა ნაჩვენები ადამიანთა მოცემული ჯგუფის გარეგნული სახე, ზნეობრივი თუ ფსიქოლოგიური თვისებები. ძნელია დაადგინო ზოგიერთი მეტსახელის შერქმევის საფუძველი. როგორც ჩანს, გარკვეულ მოვლენასთან ან ქმედებასთანაა დაკავშირებული. ჩვენს სოფელში შერქმეული მეტსახელების უდიდესი რაოდენობა გარეგნული მახასიათებელი ნიშნებია, რომლებიც XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ჰქონია ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს, იგი თაობიდან თაობას გადმოეცა და დღესაც ახასიათებთ მათ. ბევრი მათგანი სიამაყით ატარებს ამ ზედმეტსახელს, ბევრისათვის კი შეურაცხმყოფელია. არიან ისეთი მეტსახელები, რომლებიც მეტად ბინძური სიტყვებითაა წარმოდგენილი – ხალხი მართლაც ახელებს, შეურაცხყოფას აყენებს ადამიანთა ამ ჯგუფს.

ლეღვანში თითქმის არ არის დარჩენილი ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც გასახელებელი არ ჰქონდეს შერქმეული. ესენია: ბელტია, ბუნდურა, ვირიჭამია, კიუტი, კონკროხა, ქაფჩა, ხეტერა, ჭანჭურა, ხარდანა, ფხლეწია, ბოლია, დადიანი, თაგვი, კიტოლია, კუდალა, ცრუ, ხოსოლა, ფურლუნა, სლაქუნა, თამაზაშვილი, ბუნგი, დაროგა, კირკიტა, კრაზანა, კუკური, ღლიტი, ხოკი, სატა-კურა, ყაჭანა, ერეკლეშვილი, ბუძგვი, ვარყები, კანკრასა, კრიკინა, მუთაქა, ხარატი, ჩლუყი, ჯღერია, კვაწა, ჭყორიჭამია.

*დადიანები* – ამ მეტსახელს მაღრაძეების ერთი ჯგუფი სიამაყით ატარებს, მაგრამ მასში დიდი ირონიაა შეფარული. სწორედ იმის გამო, რომ ამაყები, ამპარტავნები არიან, თავიანთ თავზე დიდი წარმოდგენა აქვთ, შეარქვეს სამეგრელოს დიდებულ მთავართა დიდებული გვარი გასახელებლად.

*ხარდანები* – ხარდანა იმერეთში მაღალ ვენახზე მისობილი დიდი დატოტვილი ბოძია. ეს გასახელებელი იმიტომ დაურქმევიათ ვეფხვაძეების ერთი ჯგუფისათვის, რომ ისინი მაღალი, მხარბეჭიანი, გოლიათური აღნაგობის ყოფილან. ამ გასახელებლის ნათელი განსახიერება ყოფილა ონისიმე ხარდანა, მართლაც გოლიათური აღნაგობით, დიდი ულვაშებით, ყოვლისშემძლე გამოხედვით და მრისხანე, მომნუსხველი და საშიში ხმით. ის რომ ჯინებს მოიკიდებდა, მართლაც და, ბაყ-ბაყ დევი გეგონებოდათ. დღეს ბევრ ხარდანას აღარ შემორჩა ასეთი გოლიათური ტანი.

*კუკურები* – ადამიანთა ეს ჯგუფი გაზაფხულზე მცენარის გაბერილ კუკურს გავს. კუკურივით მრგვალი, ფუნფულა, ხშირ შემთხვევაშ, თეთრი გაწითლებული სახე და ჩამრგვალებული, დაბალი ტანი აქვთ. განსაკუთრებით ლამაზ შთაბეჭდილებას ტოვებენ მაღრაძეების ამ ჯგუფის მრგვალსახიანი თეთრი ლამაზი გოგონები.

*თაგვები* – შარიქაძეების ერთ უბანს ჰქვია. გასაკვირია, ასე ზუსტად ვინ „მონათლა“ ადამიანთა ეს ჯგუფი: შავად-მონაცრისფრო სახის კანი, ვიწრო, წვრილი თვალები, წვრილი გრძელი ცხვირი და წყნარი წრიპინა ხმა.

*ჭანჭურა* – ჭანჭურას ზემო იმერეთში ქლიავის ერთ ჯიშს უწოდებენ, რომელსაც მოგრძო ყუნწის მხარეს წვრილი დაბოლოება აქვს, ფერად – მომწვანო, მოწითალო-მოლურჯო. სწორედ ასეთი სახის ფორმა აქვთ შარიქაძეების ერთ ჯგუფს – შედარებით დიდი თავი, დაწვრილებული, დაგრძელებული სახე და ნიკაპი, ქლიავისფერი გარეგნობა.

*ყაჭანები* – ეს მეტსახელი გარეგნობასთან არ არის დაკავშირებული. მათ ბევრი უსაფუძვლო ლაპარაკი უყვართ. ლაპარაკობენ სხვასთან ერთად, გაუთავებლად. ზოგი ამბობს ყაყანებენო და ამიტომაც შეარქვეს ყაჭანები.

*ბუნგები* – ბუნგებს მაღრაძეების საკმაოდ დიდ ჯგუფს ეძახიან. გასახელებელი მათ ფსიქიკურ მდგომარეობას და გამომეტყველებას ასახავს. ჩუმად, წყნარად დადიან, ცოტას ლაპარაკობენ. თუ არ შეეკითხე, არაფერს გეტყვიან. ხალისში, ოხუნჯობაში არ აგყვებიან, სიტყვას არ შემოგიბრუნებენ, ჩხუბს არ დაგიწყებენ. დადიან თავისთვის დაღვრემილი გამომეტყველებით. მათი სახე მოღრუბლულ, საწვიმრად გამზადებულ ამინდს ჰგავს.

*კუდალები* – ამ მეტსახელით ერთ ჯგუფს მოიხსენიებენ. მათ წინაპარს ბესო ერქვა. ერთხელ, ეკლესიაში ყოფნისას, ხალხს ეკლესიის თავზე ქორი დაუნახავს და უთქვამს: „ახლა რომ თოფი გვქონდეს, ხომ ჩამოვაგდებდითო“. ბესოს უთქვამს, მე ჩამოვაგდებო, უბრალოდ მიაჩერდა და ქორიც ჩამოვარდნილა. ამიტომ ხალხმა მას კუდიანი შეარქვა და მას მერე მისი შთამომავლობა კუდალებად მოიხსენიება.

*ვირიჭამია* – ამ მეტსახელით კიკნაძეები მოიხსენიებიან. მათმა წინაპარმა, რომლის სახელი ცნობილი არ არის, კურდღელი დაიჭირა და ბოსტანში გაუშვა. ბოსტნის კარს ურმის თვალი მიაყუდა, რომ არ გაქცეულიყო, მაგრამ კურდღელი გაიქცა და ბოსტანში ვირი გადავიდა. მეორე დღეს, როდესაც კურდღლის სანახავად მივიდა, უთქვამს: „რამხელა გაზრდილა ჩვენი კურდღელიო“. გამოუყვანიათ ვირი, დაუკლიათ და უჭამიათ.

სოფელში არის გასახელებლები, რომლებიც დაკავშირებულია წინაპრის სახელთან – „ერეკლეშვილები“, „თამაზაშვილები“, „ჯაშიაშვილები“, „ალიაშვილები“. საინტერესოა ალიაშვილების ისტორია. თქმულების მიხედვით, ლეკებმა გაიტაცეს 10 წლის ბიჭი და ახალციხეში გაყიდეს. იგი თურქი დიდებულის – სულთნის ოჯახში მიიყვანეს. მსახური ქალი ქართულად დაელაპარაკა, როცა ბიჭმა უთხრა ლეღვანიდან ვარო, გაოცებულმა ქალმა შესძახა: „მე ურთხველაკიდან ვარო“ (ურთხველაკე ლეღვანის სამხრეთ-დასავლეთის მთის მხარეა, სადაც დასახლება იყო შუა საუკუნეებში). ბიჭი გაიზარდა და ბევრი რამ გაიგო და დაადგინა. მას თურქები „ალიას“ ეძახდნენ. საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა. თოვლიან ზამთარში თხილამურებით გამოიპარა, მდევარი ცხენებით დაეწია, ჩხუბის შემდეგ მათ შორის გარიგება მოხდა: მდევარმა დაუთმო ცხენი, რომლითაც ალია მშობლიურ ლეღვანში დაბრუნდა. მის შთამომავლობას ალიაშვილები უწოდეს.

სოფლელები ხშირად მიმართავენ ერთმანეთს: როგორ „მოგბუნგვია ცხვირ-პირი“, „ჭანჭურასავით გაგწვრილებია კისერი“, „შენც ხარდანას გავხარ-რაღა“, „ვარყა შეაგროვე, ვარყა გიჭამია“, „რას დაკირკიტობ კირკიტასავით“, „როგორ ყაყანობ ყაჭანასავით“. ზოგიერთ გასახელებელზე ლექსიცაა გამოთქმული – „გოლიათო ხარდანაო, მუცელი გაქ ბარდანაო“, „შე მოლაყბე ყაჭანაო, ხარ ნამდვილი ჯაჯღანაო“.

გასახელებლები ხალხური შემოქმედების, მოსახლეობის ყველა ფენის ხანგრძლივი დაკვირვების, შეფასებისა და ერთმანეთისადმი კრიტიკული დამოკიდებულების შედეგია და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იქმნებოდა. თვით ტერმინი „გახელება“ ნიშნავს ადამიანის, ამ შემთხვევაში მეზობლის, თანასოფლელის გაღიზიანებას, მის ნაკლზე მითითებას, მაგრამ მას სოფელში მტრულად არავინ იყენებს, პირიქით მასში ჩანს მითითება, მოთხოვნა – ნუ იყაჭანებ, ნუ იკირკიტებ, ნუ იცრუებ, ნუ შეარცხვენ დადიანებს, მეფე ერეკლეს და სხვ.

სოფელში ბევრია ერთი და იმავე სახელისა და გვარის მქონე პიროვნება, მათი დადგენა, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ გასახელებლის მეშვეობით ხდება. სოფელში, ერთ კლასში სწავლობდნენ ერთი და იმავე სახელის, გვარისა და მამის სახელის მქონე მოსწავლეები. იმის გამო, რომ უხერხული იყო მათი გასახელებლის მიხედვით გარჩევა, მასწავლებლებმა ერთს „ფართო თვალება“ შეარქვეს, მეორეს – „ვიწრო თვალება“.

ლეღვანი ზემო იმერეთის მნიშვნელოვანი წარსულის მქონე სოფელია. აქ არის ბრინჯაოს პერიოდის გორა-დასახლება – „ვეფხვაძეების გორა“, შუა საუკუნეების ურთხველაკის დასახლება, ლეღვანის ციხე; სახულარისაკენ და იქიდან მესხეთ-ჯავახეთისაკენ მიმავალი კოიტის ძნელად სავალი გზა. ლეღვანის ისტორიით დაინტერესებულთა ვალია, აღნიშნულ ისტორიულ ადგილებთან ერთად, გაითვალისწინონ და შეისწავლონ შესანიშნავი ფოლკლორული მასალა – გასახელებლები.

სასკოლო ღონისძიება

# პოეტ ვაჟა ხორნაულის საღამო სკოლა „ლაშარში“

ამ რამდენიმე დღის წინ ქართულ საშუალო სკოლა „ლაშარში“ გაიმართა პოეტ ვაჟა ხორნაულის ლექსების კრებულის („როგორც ბაღიდან სურნელება – ლექსი გამოვიდა გულიდან“, თბ. 2012) წარდგენა, რაც, როგორც მოსალოდნელი იყო, „მაღალი რანგის“ პოეზიის ჭეშმარიტ ზეიმად იქცა.

მსგავსი ღონისძიებები არც თუ იშვიათია ამ სკოლაში. დირექტორ **ჯენერ არქანიასა** და პედაგოგებს ხომ, საუკეთესო სწავლებასთან ერთად, თავიანთი ზრუნვის საგნად მოსწავლეთა სულიერი აღზრდაც გაუხდიათ!.. ამ მიზნით, სხვადასხვა ღონისძიებების პარალელურად, „ლაშარს“ არაერთხელ უმასპინძლია ქართული მეცნიერებისა და ხელოვნების უსაჩინოესი წარმომადგენლებისათვის.

სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებთან ერთად საღამოს ესწრებოდნენ მეზობელი სკოლების პედაგოგები – ვაჟა ხორნაულის პოეზიის მცოდნენი და თაყვანისმცემელნი, აგრეთვე, პოეტები: **მარიამ წიკლაური, ერეკლე საღლიანი, სოსო მეშველიანი, ნათია დოლიძე, მანონ ბულისკირია, ლელა ცუცქირიძე**... გაზეთების – „რაეოსა“ და „ყველა სიახლის“ – წარმომადგენლები.

საღამოს უძღვებოდნენ „ლაშარის“ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **რუსუდან ბერეკაშვილი**, სკოლის კურსდამთავრებულები: **მარიამ ზალოშვილი** და **მაკა მერკვილაძე**. მათ მონაწილეებს პოეტის შემოქმედებაზე საკუთარი აზრის გამოთქმის მშვენიერი გზა შესთავაზეს: ჩამოატარეს ე.წ. „ჯადოსნური კალათა“, ვაჟა ხორნაულის პოეტური ფრაზებით სავსე. ყველა მონაწილეს უნდა წაეკითხა თავისი წილხვედრი და გამოეხატა საკუთარი დამოკიდებულება მის მიმართ. მართლაც რომ პირუთვნელი და გულწრფელი იყო შეფასება სიცოცხლეზე, ადამიანურ ურთიერთობებზე, დედაშვილობაზე, ბედნიერებასა და უბედურებაზე, ყოფის ამაოებაზე დაფიქრებული პოეტის „გულიდან გამოსული ლექსებისა“.

ახალგაზრდა პოეტმა სოსო მეშველიანმა ვაჟა ხორნაულს „ქართული პოეზიის რაჩხა“ უწოდა: მდინარე რაჩხა ლეჩხუმში, ცაგერის სიახლოვეს, ჩამოედინება. მას ვერავითარი ავდარი ვერ ამღვრევს... ასეთია ბატონი ვაჟას პოეზიაც – ანკარა, ფაქიზი, ნატიფი... ზოგჯერ – სატრფიალო, ზოგჯერ – პეიზაჟურიც... არც სიბრძნე აკლია და არც იუმორიო...

საღამოზე წარმოდგენილ კრებულში პოეზიის ყოველი მოყვარული იპოვის თავისი სულის საზრდოს, იგრძნობს ნიჭიერად, დიდი განცდით, ამავე დროს – მშვიდად, ჩურჩულით, თითქოს სულიდან სულში გადანერგილი ქართული სიტყვის ძალას, „გულისგან ნასახსოვრალი ძაფებით“ პოეტური სასწაულები რომ მოუქსოვია. პოეტის ყოველი ფრაზა ერთი ამოსუნთქვაა, თავისთავადია და არა საგანგებოდ ნაძებნი, ნაჯახირევი, რადგან სწორედ „თავისით მოსული სიტყვაა მშვენიერი და არა – ნაპოვნი“. როდესაც პოეტის „გონება მწვერვალიდან გასცქერის მწვერვალს, ამ დროს გული ღმერთს ესაუბრება“ და შენც – მკითხველი – ამ საუბრის მსმენელი ხდები, ცხადია, თუ კარგი გამგონი ხარ, რადგან „კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდაო,“ – ნათქვამია.

„...უნიჭობის მაღალი რანგის პოეზიად გასაღებას ვერ ავიტანდიო“, – ჩვეული გულწრფელობითა და სილაღით გაგვენდო ერეკლე საღლიანი. ვაჟა ხორნაულის ლექსების გაცნობით მკითხველი მართლაც რომ მაღალი რანგის პოეზიას ეზიარება და შემდგომ მთელი ცხოვრება უსათუთესი განცდით გაჰყვება მსგავსი ფრაზები: „რა შეიძლება განიცადოს ყვავილმა ღმერთის უბეში?!“

...ჭეშმარიტი პოეზია მართლაც ისაა, „სილამაზის იქით რაც იწყება“.

მანანა სიმონიშვილი



# ენის ქომაგები

ლალი ჯელაძე

14 აპრილს საქართველოში „დედაენის დღე“ აღინიშნება, 1978 წლის მღელვარების გამო, როცა საბჭოთა ცენტრალურმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ქართულ ენას ჩამორთმეოდა სახელმწიფო ენის სტატუსი და საქართველოს საბჭოთა კონსტიტუციის 78-ე მუხლში შესაბამისი ცვლილება შესულიყო. კონსტიტუცია საქართველოს უმაღლეს საბჭოს 1978 წლის 14 აპრილს უნდა დაემტკიცებინა. ამ დღემდე სტუდენტურ წრეებში მიმდინარეობდა ხელმოწერების შეგროვება, მოთხოვნით – ქართული ენა – სახელმწიფო ენა. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, ათასობით ადამიანი მონაწილეობდა საპროტესტო გამოსვლაში, უმეტესად სტუდენტები, კონსტიტუციის მუხლის შეცვლას აპროტესტებდნენ. მოსკოვმა დათმო და კონსტიტუციაში ცვლილება აღარ შევიდა: ქართული ენა სახელმწიფო ენად დარჩა. ამის შემდეგ, 14 აპრილი „დედაენის დღედ“ გამოცხადდა. როგორც წესი, „დედაენის დღე“ ფართოდ აღინიშნება საქართველოში, მათ შორის სკოლებში.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში 147-ე სკოლის მე-5[3] კლასის მოსწავლეებმა (დამრიგებელი – **ზეინაბ ბეჟაშვილი**) „დედაენის დღისადმი“ მიძღვნილი ღონისძიება გამართეს. მათი გამოსვლა სწორედ 1978 წლის მოვლენების გახსენებით დაიწყო. მეხუთეკლასელისთვის, ალბათ, რთული გასაცნობიერებელია ამ დღის მნიშვნელობა, თუმცა, ისე დამაჯერებლად საუბრობდნენ ენის დაცვის შესახებ, რომ ბევრ ზრდასრულსაც შეშურდებოდა. მათ ცნობილი პოეტების ლექსები და გამონათქვამები წაიკითხეს, ასევე საკუთარი ლექსებიც.

ღონისძიებას, ბუნებრივია, წინ უძღოდა მოსამზადებელი სამუშაო – მასალების მოძიება და რეპეტიციები. ბავშვები ამის შესახებ დიდი ხალისით ყვებიან:

**მარიამ მაჩაიძე**: *„ამ დღისთვის განსაკუთრებულად მოვემზადეთ, მასწავლებელთან ერთად მოვიძიეთ მასალა. დღეს გრიგოლ ორბელიანის ცნობილი ლექსი და საკუთარი ლექსები წავიკითხე, დავწერე თემა, რომელიც ქართულ ენას მივუძღვენი. მოვუწოდებ თანატოლებს, დავდგეთ მის სადარაჯოზე, დავიცვათ და მომავალ თაობებს ისე მივუტანოთ, როგორც ჩვენმა წინაპრებმა მოგვიტანეს დღემდე. ლექსებს სხვა თემებზეც ვწერ, მაგრამ დედაენისადმი მიძღვნილი ლექსები განსაკუთრებით მიყვარს. ერთი სული მქონდა, როდის წარვდგებოდი აუდიტორიის წინაშე.*

*მზადების პროცესში ძალიან ბევრი რამ შევიტყვეთ ენის შესახებ. კერძოდ ის, თუ როგორ იცავდნენ იაკობი, ილია და აკაკი ქართული ენის სიწმინდეს. დიდმა ილიამ დაგვიტოვა ანდერძი: „მამული, ენა, სარწმუნოება“, რომელიც მუდამ გვახსენებს, სადაც არ უნდა ვიყოთ, გვიყვარდეს მშობლიური ენა, არ ვუღალატოთ მამულს და სარწმუნოებას. ჩემს თემაში ვწერ, რომ მშობლიური ენის განსაკუთრებული სიყვარული კარგად ჩანს ლაზებისა და ინგილოების მაგალითზე, რომლებიც მრავალი წლის წინ გადაასახლეს საქართველოდან, მაგრამ დღემდე შეინარჩუნეს ქართული ენა და ადათ-წესები.“*

**თამარ ტყეშელაშვილი**: *„14 აპრილი ჩვენთვის ერთ-ერთი გამორჩეული დღეა. მოუთმენლად ველოდი ამ დღის დადგომას. ძალიან მიხარია, რომ ეს ღონისძიება აქ, სამების ახალგაზრდულ ცენტრში ჩატარდა. ვაკვირდებოდი დარბაზში მაყურებელს, რა ემოციას იწვევდა ჩვენი გამოსვლა და ძალიან მიხარია, რომ მათ სახეზე აღფრთოვანებას ვხედავ.*

*ვალდებული ვართ, დავიცვათ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ენა და ამით გავაძლიეროთ ერი. ძალიან სახალისო და სასიამოვნო იყო ღონისძიებისთვის მზადების პროცესიც, ბევრი რამ აღმოვაჩინე და შევიტყვე ქართული ენის შესახებ. სკოლაში კარგად ვსწავლობ, მაგრამ ასეთი ღონისძიებებიც ძალიან მომწონს და აქტიურად ვარ ხოლმე ჩართული. ღონისძიების წამყვანი ვარ, ლექსებიც წავიკითხე, განსაკუთრებით მომწონს ერთი ლექსი – „მე ის საქართველო მიყვარს, სადაც ტკივილია ერთი, სადაც სიყვარული მეფობს, სადაც მთავარია ღმერთი!“.*

განსაკუთრებული ოვაცია მეხუთეკლასელმა ენის მცველებმა მუსიკალური ნომრების შესრულების დროს დაიმსახურეს, მათ მუსიკის პედაგოგ **ლია ტაბატაძესთან** ერთად მომზადებული ქართული ხალხური სიმღერები სალამურისა და ფანდურის თანხლებით შეასრულეს.

*„ძალიან მიხარია, როცა ჩემი სადამრიგებლო კლასი ასეთ აქტივობას გამოხატავს ქართული ენის დღისადმი. განსაკუთრებით მახარებს, როცა ბავშვები საკუთარ შემოქმედებას საჯაროდ კითხულობენ, ეს მათი ნიჭიერების კიდევ ერთი დასტურია.“* – გვითხრა ღონისძიების ორგანიზატორმა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ზეინაბ ბეჟაშვილმა.











## იურისტის კონსულტაცია

***15 მოსწავლეზე ნაკლები კლასის დამრიგებელს თუ მიეცემა სრულად გაზრდილი ხელფასი, რომელსაც ითვალისწინებს კანონი დამრიგებლის ანაზღაურების შესახებ?***

პედაგოგს, კლასის დამრიგებლობისთვის გათვალისწინებული დანამატი მიეცემა მოსწავლეთა რაოდენობის მიუხედავად. აღნიშნული გათვალისწინებულია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №576 ბრძანების მე-4 მუხლით.

***ვარ სერტიფიცირებული პედაგოგი. წარმატებით ჩავაბარე ინგლისურისა და კომპიუტერის ინტეგრირებული გამოცდა.***
***მაქვს შეკითხვა:***
***1994 წელს ჩავირიცხე თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1998 წელს დავასრულე. შესაბამისად, გავიარე სწავლების 4 კურსი და მომენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (სწავლების ამ სისტემას სწორედ 1994 წელს ჩაეყარა საფუძველი).***
***2005 წლის პირველი ოქტომბრიდან ძალაში შევიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, ბატონ ა. ლომაიას ბრძანება №576, რომელშიც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ 2000 წლამდე მიღებული 5-წლიანი უმაღლესი განათლების დიპლომი, 4-წლიანი უმაღლესი პედაგოგიური განათლება მიჩნეულ იქნეს მაგისტრის აკადემიურ ხარისხად, ანუ 2000 წლამდე მიღებული ყველა დიპლომი გათანაბრდა მაგისტრის ხარისხამდე.***
***მაინტერესებს, ამ ბრძანების საფუძველზე, მეც ვარ თუ არა მაგისტრის აკადემიური ხარისხის მფლობელი და, შესაბამისად, უნდა ვიღებდე თუ არა მაგისტრის აკადემიური ხარისხით ხელფასს.***
***ბატონ ა. ლომაიას ბრძანება დღესაც მოქმედებს, არ არის გაუქმებული.***

ბრძანება №576 მაგისტრის აკადემიურ ხარისხს უთანაბრებს 2000 წლის ჩათვლით მიღებულ 4-წლიან უმაღლეს პედაგოგიურ განათლებას მხოლოდ პედაგოგის შრომის ანაზღაურების გამოთვლის ფარგლებში. შესაბამისად, თქვენ უნდა იღებდეთ ხელფასს, რაც გათვალისწინებულია მაგისტრის სტატუსის მქონე პედაგოგისთვის.

სხვა მხრივ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 87-ე მუხლის მე-7, 89-ე მუხლის მე-8 და 89-ე მუხლის 8|| პუნქტების თანახმად, 4-წლიანი უმაღლესი პედაგოგიური განათლება არ გულისხმობს მაგისტრის აკადემიურ ხარისხს.

***დროებითი შრომისუუნარობის გამო გავედი შვებულებაში, თუმცა, დახმარების ოდენობის გამოანგარიშებისას მხედველობაში არ იქნა მიღებული დამრიგებლობის დანამატი.***

თქვენი კითხვის პასუხად გატყობინებთ, რომ დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების ოდენობის გამოანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება ის დანამატი, რომელსაც პედაგოგი იღებს კლასის დამრიგებლობის გამო. აღნიშნული გათვალისწინებულია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №87/6 ბრძანების მე-6 მუხლის მე-7 პუნქტით.

***გრიგოლ ბაკურაძე***
*საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი*

# სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტი უბისაში

ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და მის ფარგლებში გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებს კარგად შეესაბამება სასწავლო შემეცნებითი ვიზიტები. ეს აქტივობა მოსწავლეებს შესაძლებლობას უქმნის რეალურ გარემოში დააკვირდნენ სიტუაციას და გაეცნონ მოცემულ საკითხთან დაკავშირებულ თავისებურებებს. აქედან გამომდინარე, ამ აქტივობას დიდი საგანმანათლებლო დატვირთვა აქვს.

სასწავლო ეროვნული გეგმის მიხედვით, მე-10 კლასში გათვალისწინებულია გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შესწავლა. ეს ნაწარმოები შესაძლებლობას იძლევა ლიტერატურული წყაროს გააზრება გამდიდრდეს სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტებით – იმ ეკლესია-მონასტრების მონახულებით, რომლებიც აშენდა გრიგოლ ხანძთელისა და მისი სულიერი ძმების მოღვაწეობით. ამ გზით ხდება რამდენიმე საგნის ინტეგრირება: ქართული, ისტორია, გეოგრაფია, ხელოვნება, ბუნებისმეტყველება. აქტივობების დაგეგმვისას სხვადასხვა საგნის მასწავლებელთა ერთობლივი და შეთანხმებული მუშაობა უფრო ეფექტურს ხდის სწავლა-სწავლების პროცესს. ასეთი ინტეგრირებისათვის საკმაოდ მრავალფეროვანი აქტივობების საშუალებას იძლევა სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტები.

მოსწავლეებმა იციან, რომ გრიგოლ ხანძთელისა და მისი სულიერი ძმების აშენებულ ეკლესია-მონასტრებს შორის მნიშვნელოვანია „უბეი“, ანუ უბისის მონასტერი, რომელიც VIII-IX საუკუნეებში აშენდა ზესტაფონთან 12-ოდე კილომეტრის მოშორებით, მეფე დემეტრეს თხოვნით.

ამ ნაწარმოების ტექსტზე მუშაობის დასრულების შემდეგ, წმ. ნინოს სახელობის მე-3 საჯარო სკოლის მე-104 კლასის მოსწავლეებმა, ჩემი ხელმძღვანელობით, მოვაწყვეთ სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტი უბისაში. მუშაობის სქემა წინასწარ იყო დაგეგმილი, რომელსაც შემდეგნაირი სახე ჰქონდა:

**სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტი უბისაში**
**მარშრუტი:** ქუთაისი – უბისა – ქუთაისი.
**სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტის მიზანი:**

✓ მე-8 საუკუნის ძეგლის, უბისის მონასტრის ნახვა.

✓ გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შერჩეული ფრაგმენტების ანალიზი.

✓ რეალური გარემოს აღქმა და ლიტერატურულ წყაროსთან დაკავშირების უნარის განვითარება.

✓ შემოქმედებითი და დამოუკიდებელი მსჯელობის უნარების გამოვლინება.

**ვიზიტის დრო** – 2012 წლის 8 დეკემბერი.
**მოსწავლეთა რაოდენობა** – 28.

**სასწავლო-შემეცნებითი აქტივობები:**

**აქტივობა 1** – მინი-ლექცია თემაზე: გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და უბისის მონასტერი (მასწავლებელი – **მარინე აშვეთია**)

**აქტივობა 2** – მოსწავლეთა მსჯელობა უბისის მონასტრის შესახებ

ა) ისტორიული ფონი
ბ) ლიტერატურული უწყებანი
გ) უბისის ტაძარი დღეს

**აქტივობა 3** – ჩანახატის დაწერა – „უბისის სევდა“

**აქტივობა 4** – ვიქტორინა-კონკურსი თემაზე „ვინ უკეთ იცის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“





მოსწავლეთა შეჯიბრი კითხვა-პასუხის ფორმატში

**აქტივობა 5** – ჯგუფური მუშაობა.

სამუშაო მასალა ნაწილდება შემდეგნაირად:

**1-ლი ჯგუფი** – „წარსულის ნაკვალევი უბისაში“

**მე-2 ჯგუფი** – „უბისის რუხი პეიზაჟები“ (ანუ ბუნება)

**მე-3 ჯგუფი** – „ქვაში ჩაკირული საიდუმლო“ (ანუ არქიტექტურა)

მოსწავლეები ჯგუფურად აკვირდებიან გარემოს და ცდილობენ მის შესწავლას. დროის ლიმიტის ამოწურვის შემდეგ უბისის ტაძრის ცენტრალურ დარბაზში, მოსწავლეებმა მოაწყვეს ნამუშევრების პრეზენტაცია.

წარმოგიდგენთ **ელენე ლალიაშვილის** სპონტანურად შექმნილ ჩანახატს „უბისის სევდა წარსულიდან“.

*„წვიმს... კოკისპირულად წვიმს...*

*რუხი ფერები მოსძალებია უბისის მიდამოს... სევდის ღრუბელი გარს შემოკვრია ტაძარს უფლისას... ღვთისმშობლის ფრესკა დაუნამავს მლოცველთა ცრემლებს მდუღარეს, სამშობლოს სევდით დაღარული გულიდან გადმონადენს...*

*– „მობრძანდით, მამაო!..“ – ბერები წამოიშალნენ. შეეგებნენ დიდ მოძღვარს. მამა გრიგოლმა მდაბლად თავი დაუკრა თავის სულიერ ძმებს. პირჯვარი გარდასახა მამებს.*

*– უფალი გფარავდეთ!.. – წყნარად თქვა და თვალი მოავლო სულიერ ძმებს, მერე წმინდანთა ფრესკებზე გადაიტანა მზერა, ღვთისმშობელზე შეაჩერა თვალი. ლოცვა აღავლინა მხურვალე... ბერებმაც ილოცეს.*

*ლიტანიობა რომ დამთავრდა, მამა ილარიონმა გვერდზე გაიხმო მამა გრიგოლი, სათნოებით სავსე თვალები მიაპყრო და ეკითხება:*

*– რასა იქმს ცქირი? უფალს ხომ არ გაუბრწყინებია გული და გონება მისი, აგრერიგად დახშული და დაბნელებული? „ღვარძლმა იფქლთა შორის“ მრავალი ძვირი შეამთხვია სიწმინდეს თქვენსას, ღვაწლსა თქვენსას დაუფასებელს...*

*– ვილოცოთ მისთვის, უფალმა რომ გაუნათოს ბნელი გონება... – შუბლდაღარულმა წყნარად წარმოთქვა მამა გრიგოლმა.*

*ბერებმა ლოცვა აღავლინეს...*

*მამა გრიგოლს ტაძრის გუმბათის შიგა სიმრგვალისაკენ მიეპყრო მზერა და უფალს ავედრებდა უბისის, ხანძთის, შატბერდისა და აფხაზეთის ტაძრების გადარჩენას:*

*– „ უფალო ღმერთო, დაგვიფარე სიავისაგან, ღვთისმშობელო, წყალობის კალთა გადააფარე მრავალტანჯულ სამშობლოს ჩვენსას!..“*

*– ამინ! – იმეორებდნენ ცრემლმდინარი მამები.*

*უბისა გადარჩა... დღესაც დგას ჩვენი წარსულის სარკედ და დიდებად, სულის საოხად ქრისტიანთა!..“*

გეგმის შესაბამისად, გაიმართა ვიქტორინა-შეჯიბრი ჯგუფებს შორის. ჯგუფებს, სიმბოლურად, „თეოდორე“ და „ქრისტეფორე“ დავარქვით. ვიქტორინის კითხვები „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტის დეტალურ ცოდნას ამოწმებდა. 3 ქულით გაიმარჯვა გუნდმა „თეოდორემ“.

შთამბეჭდავი იყო მოსწავლეთა ინტერესი დაკისრებული აქტივობების შესასრულებლად. ტაძრის ეზოს სხვადასხვა მხარეს შექუჩებული ბავშვები ქვის საფეხურებზე ჩამომსხდარნი წერდნენ, ერთმანეთს აზრებს უზიარებდნენ, ინიშნავდნენ, მერე ნააზრევს საბოლოო სახეს აძლევდნენ და ღვთის სახლის ცენტრალურ დარბაზში დავალების პრეზენტაციას აკეთებდნენ.

მგზავრობის ხალისმა და მხიარულებამ ექსკურსიის ფინალი კვლავ შთამბეჭდავად წარმოაჩინა.

ეს შთამბეჭდავი დღე მათი ცხოვრების ერთ-ერთ ნათელ ფურცლად ჩაიწერა.

წარსულის ხილვა აწმყოში, თანამედროვეობასთან შერწყმული, მოსწავლეებს არასოდეს დაავიწყდებათ.

**მარინე არაბიძე-აშვეთია**
*ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის №3 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული მასწავლებელი*

## ინფორმაცია

# სემინარები სასკოლო ხელბურთში

საქართველოს რამდენიმე ქალაქში საჯარო სკოლების სპორტის მასწავლებლებისათვის სემინარები ჩატარდა. მიღებული ცოდნა მათ გაკვეთილებზე ხელბურთის თამაშის გამარტივებული წესებით სწავლებაში დაეხმარება. სემინარს უძღვებოდა საერთაშორისო ექსპერტი ხელბურთში, პრაღის უნივერსიტეტის პროფესორი **ფრანტიშეკ ტაბორსკი**. ჩეხ ექსპერტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ალუდა გოგლიჩიძე**, სამინისტროს სხვა წარმომადგენლები შეხვდნენ და მომავალი სამეცნიერო თანამშრომლობის შესაძლებლობები განიხილეს.

სემინარები ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის განვითარების პროგრამის „სასკოლო ხელბურთი“ ფარგლებში ჩატარდა. პროექტი მიზნად ისახავს საჯარო სკოლების პედაგოგთა დახმარებას სწორად წარმართონ სპორტის გაკვეთილები და, შეჯიბრებებში მონაწილეობის მოტივაციით, საფუძველი ჩაუყარონ სკოლის ხელბურთის გუნდების შექმნას, ხელი შეუწყონ ახალგაზრდა თაობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

სემინარები ჩატარდა საქართველოს სამ ქალაქში: ქუთაისი (3-5 აპრილი), ყვარელი (7-9 აპრილი) და თბილისი (10-12 აპრილი). მონაწილე პედაგოგებს ჩაუტარდათ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კურსი. სემინარი ტესტირებით დასრულდა, რომლის შედეგების მიხედვით მათ სერტიფიკატები გადაეცათ.

ხელბურთი, როგორც ოლიმპიური გუნდური თამაში, მსოფლიოში აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპორტული სახეობა. მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან, საქართველოში, ხელბურთის დიდი ტრადიციები არსებობს. საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია აქტიურადაა ჩაბმული ევროპისა და საერთაშორისო ფედერაციების განვითარების პროგრამებში, რომელთა მიზანია ხელბურთის, როგორც სათამაშო სპორტის სახეობის, დანერგვა და მისი პოპულარიზაცია. დღეისათვის, ჩვენი ქვეყნის მრავალ საჯარო სკოლაში ხელბურთი სპორტის გაკვეთილის ძირითადი საგანია.



# მინისტრი ქარელის მე–2 საჯარო სკოლის მოსწავლეებს შეხვდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **გიორგი მარგველაშვილი** და ქარელის მაჟორიტარი დეპუტატი **ლერი ხაბელოვი** ქარელის მე-2 საჯარო სკოლაში სასკოლო სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეხვდნენ და სკოლაში არსებულ პრობლემებს გაეცნენ.

ქარელის მე-2 საჯარო სკოლაში 500 მოსწავლე სწავლობს, მათგან 130-ს სოციალურად დაუცველის სტატუსი აქვს და უფასო სასკოლო სახელმძღვანელოებით სარგებლობს. სკოლის დირექტორის განმარტებით, გაცილებით მეტი მოსწავლე საჭიროებს უფასო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფას. 50 მოსწავლეს სკოლა ეხმარება და ყოველდღიურად სასწავლო მასალის ქსეროასლებს უმზადებს. სკოლამ სპეციალურად დამატებითი ქსეროქსი შეიძინა, რათა ამ ბავშვებს ხელი არ შეშლოდათ სწავლაში.

„ორი შვილისთვის სასკოლო სახელმძღვანელოების შეძენა 250-300 ლარი მიჯდებოდა, რაც ჩემი ოჯახისათვის ძალიან დიდი თანხაა, რადგან სტაბილური სამსახური ოჯახში არავის გვაქვს“ – განაცხადა ორი მოსწავლის დედამ **ნანა ბუთხუზმა.**

# ერთად ლაღი და საინტერესო ცხოვრებისათვის



უკვე ერთ თვეზე მეტია, საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის შემოქმედებით პედაგოგიურ ჯგუფს „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისე ემილი ნიუ შეუერთდა. იგი 6 თვის განმავლობაში ითანამშრომლებს ჩვენთან და მრავალ საინტერესო პროექტს განახორციელებს ამ მოკლე პერიოდის განმავლობაში.

2013 წლის თებერვალში, საგარეჯოს №2 საჯარო სკოლაში, საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის საკონფერენციო-საორგანიზაციო კომიტეტის მიერ, ჩატარდა 67-ე რაიონული სასწავლო-შემოქმედებითი საგნობრივი მინი-სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 11 საჯარო, 1 კერძო სკოლის 160 მოსწავლე და 70 პედაგოგი. კონფერენციაზე მუშაობდა 19 სექცია. სექციებს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის პედაგოგებთან ერთად ხელმძღვანელობდნენ საჯარო სკოლებიდან მოწვეული სერტიფიცირებული პედაგოგები. კონფერენცია გახსნა რესურსცენტრის უფროსმა, ქალბატონმა **მანანა ცუცქირიძემ**, შეკრებილთ კონფერენციის გახსნა მიულოცა მასპინძელი სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **ლელა ფანოზიშვილმა**. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისე ემილი ნიუ, რომელიც აქტიურად ჩაერთო ინგლისური ენის სექციის მუშაობაში.... მიმდინარე წელს სიახლე იყო ის, რომ ბევრმა მოსწავლემ შეძლო თავისი საკონფერენციო ნაშრომის პრეზენტაცია კომპიუტერის გამოყენებით... რეცენზირებული ნაშრომები გაიგზავნა თბილისში, საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში, 67-ე რესპუბლიკურ კონფერენციაზე. ვიმედოვნებთ, წარგზავნილი ნამუშევრების უმრავლესობა მაღალ შეფასებას დაიმსახურებს.

1 მარტს, საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში, „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისე ემილი ნიუს ინიციატივით, გაიმართა თინეიჯერ ლიდერ გოგონათა კლუბის პირველი შეკრება. მონაწილეობდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, ბადიაურის, ხაშმის, პატარძეულის, მზისგულის საჯარო სკოლების IX-XI კლასების მოსწავლეები. კლუბმა გადაწყვიტა შეკრებები მოეწყოს ორ კვირაში ერთხელ, იმსჯელონ მათთვის საინტერესო სხვადასხვა საკითხებზე და დასახონ განხორციელების გზები...

2 მარტს კი საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა ტრადიციული ინტელექტთამაში თემაზე „მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა“, მონაწილეობდნენ: საგარეჯოს №1, №2 (მე-2 საჯარო სკოლიდან 2 გუნდი მონაწილეობდა), №4, გიორგიწმინდის, მანავის, ბადიაურის, ნინოწმინდის, წყაროსთავის, პატარძეულისა და უჯარმის საჯარო სკოლების 11 გუნდი. I ადგილი 20 ქულით დაიკავა საგარეჯოს №4 საჯარო სკოლის გუნდმა, II ადგილი, 19 ქულით – წყაროსთავის საჯარო სკოლის გუნდმა, III ადგილი გაინაწილეს უჯარმის და პატარძეულის საჯარო სკოლების გუნდებმა. თამაშს, ტრადიციულად, უძღვებოდა მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ინტელექტკლუბის ხელმძღვანელი **ბადრი დრეიძე**. შემდეგი თამაში გაიმართება თემაზე: XX საუკუნის ქართული ხელოვნება (მხატვრობა, თეატრი, კინო, მუსიკა, ქორეოგრაფია).

„მშვიდობის კორპუსის“ მოხალისე ემილი ნიუ აქტიურად მონაწილეობს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მიერ დაგეგმილ ყველა ღონისძიებაში. ამას გარდა ემილი ენერგიას არ იშურებს, რათა აქ წრეებზე მოსული მოსწავლეებისა და პედაგოგების საქმიანობა სრულყოფილი და მრავალფეროვანი გახადოს. მისი ინიციატივით, ახლებურად ამოქმედდა ინგლისური ენის შემსწავლელი კლუბი, „გოგონათა კლუბი“, რომელიც ქრაკერვით და კულინარიით დაინტერესებულ გოგონებს აერთიანებს.




კლუბს ხელმძღვანელობს **ირინა თულაშვილი**. ეფექტურად და საინტერესოდ მუშაობს ხატვის კლუბი **ჯემალ მახარიკაშვილის** ხელმძღვანელობით. ჩვენი მოსწავლეების ნამუშევრები იგზავნება ბელორუსიაში, ჩეხეთში, ბულგარეთში, პოლონეთში სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებზე. ისინი აწყობენ გამოფენებს, შეხვედრებს საინტერესო ადამიანებთან. მოსწავლე ახალგაზრდობის დღეებისა და სხვადასხვა ღონისძიებებისათვის აქტიური მზადება მიმდინარეობს საბავშვო თეატრისა და მხატვრული კითხვის კლუბებში (ხელმძღვანელები: **ირინა დრეიძე** და **ოლღა მეხაშიშვილი**).



ემილის ინიციატივით 16 მარტს საგარეჯოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ჩატარდა საგარეჯოს საჯარო და კერძო სკოლების ინგლისური ენის მასწავლებლების ტრენინგი, რომელიც ემილისთან ერთად სახალისოდ და შინაარსიანად წარმართა **ნანა ჯირაშვილმა**. ტრენინგის თემა იყო გაკვეთილის სწორი დაგეგმვა და თანამედროვე მეთოდების გამოყენება მაღალი შედეგისათვის.

ემილისთან ერთად მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის პედაგოგები და მოსწავლეები კიდევ ბევრ საინტერესო პროექტს განახორციელებენ. განსაკუთრებული მოლოდინით კი ზაფხულის არდადეგებს ველოდებით, ვინაიდან ემილის დაუფინანსდა საზაფხულო დღის ბანაკის პროექტი. ბანაკი 4 პრიორიტეტული მიმართულებით იმუშავებს და ერთ თვეს გასტანს. ეს იქნება დიდი საჩუქარი იმ ბავშვებისათვის, ვინც ვერ ახერხებს გასვლას და დასვენებას.

ზაფხულამდე კი, მრავალი საინტერესო ღონისძიება ელოდებათ ჩვენი მუნიციპალიტეტის შემოქმედ მოსწავლეებს.

**თამარ ჯაბადარი**
*საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი*

## *სასკოლო ღონისძიება*

* * *

სსიპ ახალციხის №5 საჯარო სკოლის IIდ კლასის (კლასის ხელმძღვანელი – **იზა მარსაგიშვილი**, მუსიკის პედაგოგი – **ნინო ნარიმანიძე**) მოსწავლეებმა, 2013 წლის 8 აპრილს, ჩაატარეს ღონისძიება თემაზე „საქართველოვ, შენ სადა გყავს შვილი დასაკარგავი“, რომელიც 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიას მიეძღვნა.

*„შენ საქართველოს იმედად და ვარდად ქცეულო,*
*ეს ვინ ჩაგაცვა შავი ძაძა აპრილის თვეში,*
*შენ საქორწილო კაბა უნდა ჩაგეცვა, შვილო,*
*ვარდების ნაცვლად შავი დროშა გიჭირავს ხელში!“*

ლამაზად გამოპრანჭულმა პატარებმა ლექსებით და სიმღერებით კიდევ ერთხელ გაიხსენეს 9 აპრილს რუსთაველზე დაღუპული გოგონები და ბიჭები, რომელნიც საქართველოს დამოუკიდებლობას შეეწირნენ.

ღონისძიებას ესწრებოდა სკოლის დირექტორი, ქალბატონი **ჟენია მერაბიშვილი**, პედაგოგები, მშობლები.

სკოლის დირექტორმა პატარებს უსურვა, რომ ჩვენი ქვეყანა ასეთი ტრაგიკული დღეების მომსწრე არასოდეს ყოფილიყოს და ქართველი ერის დაღვრილი სისხლი ფარად აღმართოდეს ჩვენს მომავალ თაობას.

**იზა მარსაგიშვილი**
**IIდ კლასის ხელმძღვანელი**



* * *

„ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ“ – ამ თემით აღნიშნეს ქართული ენის, დედაენის დღე ქალაქ ახალციხის №5 საჯარო სკოლის მესამე კლასის მოსწავლეებმა და დამრიგებელმა **თეა გვირჯიშვილმა**.

პატარებმა სცენაზე ლექსებითა და სიმღერებით გამოხატეს დიდი სიყვარული ქართული ენისადმი. თითოეული მოსწავლე მგზნებარე სულისკვეთებით გადმოსცემდა ქართული ენის ქებას.

პატარებმა მოუწოდეს ყველა ქართველს: „მოვუაროთ, მოვეფეროთ და დავიცვათ ჩვენი ენა, ჩვენი მშობლიური დედაენა და ვილაპარაკოთ უძველესი, ღვთითკურთხეული, დალოცვილი, ულამაზესი, უბრწყინვალესი ენით – ქართულით, იაკობის, დავითის, თამარის, საბას, შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის, კონსტანტინეს ძარღვიანი ქართულით“.

დასასრულს, სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **ჟენია მერაბიშვილმა** კლასის ხელმძღვანელს, პატარებს, მშობლებსა და მოწვეულ სტუმრებს დედაენის დღე მიულოცა. ღონისძიების მონაწილეებს სიტყვებით მიმართეს: დაწყებითი კლასების სასწავლო ნაწილის გამგემ, ქალბატონმა **რიტა კირკიტაძემ** და მშობელმა **ნანა ქაფიანიძემ**.

ღონისძიება დასრულდა სიმღერით:

*„მე ჩემს ენაზე რომ ვმღერი,*
*გულში მეღვრება ნათელი.*
*ქართველს მაქვს ენა ქართული,*
*იმიტომ მქვია ქართველი“.*

**ლალი სოლომონიძე**
***დაწყებითი სწავლების პედაგოგი***



ინფორმაცია

# ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მუშავდება ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა, რომელიც თავისი შინაარსით ინოვაციურია საქართველოს ენობრივი განათლების სისტემისათვის. ამ პროგრამის ფარგლებში შეიქმნა ქართულის, როგორც უცხო ენის, სტანდარტი ქართული ენის ფლობის დონეების (A1-A2, B1-B2) აღწერილობა. იგი შესრულდა ზოგადევროპული მოდელის მიხედვით, იმ კრიტერიუმების გათვალისწინებით, რომლითაც საერთაშორისო კონტექსტი ფუნქციონირებს. ეს ნიშნავს, რომ ამიერიდან ქართული ენა ჩაერთო მსოფლიოს ენათა საურთიერთო ველში, რომელშიც თითოეული ენა შედის სტანდარტიზებული, ანუ ყველასათვის გასაგები სახით. ამ ფაქტს, ენობრივი პოლიტიკის თვალსაზრისით, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. ამას გარდა, ეს სტანდარტი ხელს უწყობს ქართულის, როგორც უცხო ენის, დამოუკიდებელ სასწავლო მიმართულებად ჩამოყალიბებას და მის შემდგომ განვითარებას. ამ სტანდარტული აღწერილობის საფუძველზე იქმნება მრავალფეროვანი სასწავლო თუ მეთოდური ლიტერატურა. სახელდობრ, უკვე დასრულდა ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების მეთოდიკის სახელმძღვანელო კრებული, რომელიც შედგება ორი წიგნისაგან: თეორიული კურსისა და პრაქტიკული დავალებებისაგან. ეს არის მეთოდიკის პირველი სახელმძღვანელო აღნიშნული მიმართულებისათვის. ასევე პირველად მიმდინარეობს მუშაობა ქართულის, როგორც უცხო ენის, ერთენოვანი სახელმძღვანელოების კომპლექტზე ზოგადევროპული ენობრივი დონეების შესაბამისად. წლის ბოლოსთვის დასრულდება A1 და A2 დონეების სახელმძღვანელოები. წელს ასევე მომზადდება ადაპტირებული საკითხავი ლიტერატურა ქართული ენის ფლობის A1 და A2 დონეებისათვის. ამასთანავე, შედგება მრავალფეროვანი სავარჯიშოების კრებულები. ამდენად, ქართული ენის უცხოელი შემსწავლელები მიიღებენ ქართულის, როგორც უცხო ენის, სრულ სასწავლო პაკეტს.

საგანმანათლებლო ლინგვისტიკის ახალბედა დარგი – ქართული, როგორც უცხო ენა – დიდ დახმარებას გაუწევს ქართული ენის სწავლასა და სწავლებას და ქართულს დააყენებს იმ ენათა შორის, რომელთათვისაც დამოუკიდებელი სასწავლო დისციპლინა – ენის, როგორც უცხო ენის, სწავლება – უკვე კარგა ხანია წარმატებით ფუნქციონირებს. ეს კი უფრო მეტად შეუწყობს ხელს ქართული ენის პოპულარიზაციას საერთაშორისო მასშტაბით.

# ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **გიორგი მარგველაშვილმა** და აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილემ **ტარა სონენშაინმა** თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. ხელმოწერამდე ტარა სონენშაინი და ამერიკის ელჩი საქართველოში **რიჩარდ ნორლანდი** გიორგი მარგველაშვილს შეხვდნენ და სამომავალო გეგმები განიხილეს.

გიორგი მარგველაშვილმა თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას და მის წარმომადგენლებს საქართველოში. *„ჩვენი თანამშრომლობის ახალი ეტაპი გარანტია იმისა, რომ საქართველოში საგანმანათლებლო სისტემა თანამედროვე სტანდარტების მიხედვით განვითარდება იმ ქვეყანასთან თანამშრომლობით, რომელიც დღეს ლიდერია ბევრ სფეროში, მათ შორის საგანმანათლებლო სფეროშიც,“* – განაცხადა მინისტრმა.

ტარა სონენშაინის თქმით, ეს თანამშრომლობა სასიკეთო იქნება ორივე ქვეყნის ახალგაზრდებისთვის და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას გააღრმავებს.

მემორანდუმი სტუდენტებისა და მეცნიერ-მკვლევარებისათვის განკუთვნილი „ფულბრაიტის (Fulbright) აკადემიური გაცვლითი პროგრამის“ ფარგლებში არსებული კავშირების განმტკიცებასა და განვითარებას ითვალისწინებს – ხელს შეუწყობს სტუდენტთა და მეცნიერთა გაცვლას განათლების ყველა საფეხურსა და სასწავლო/სამეცნიერო კვლევის ყველა დარგსა და სფეროში, გაძლიერდება კავშირები ორი ქვეყნის სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებს შორის.

ფულბრაიტის სტიპენდიის პროგრამა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტიპენდიაა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ქართველ სტუდენტებსა და მეცნიერებს სთავაზობს. ურთიერთგაგების მემორანდუმის განხორციელებისას ამერიკის მხარე კოორდინირებას გაუწევს საქართველოში „ფულბრაიტის პროგრამის“ დაფინანსებას, მართვასა და განხორციელებას.

ფულბრაიტის სტიპენდიის პროგრამა 1946 წელს დაიწყო. პროგრამის ფარგლებში, ათასობით მეცნიერმა ჩამოაყალიბა გრძელვადიანი პროფესიული ურთიერთობები კოლეგებთან აშშ-ში, განახორციელა ერთობლივი კვლევები, გამოსცა სამეცნიერო პუბლიკაციები და ა.შ.

თვალსაზრისი

# ჯავახეთისა თუ სპარსეთის ასპანა?..

VII კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოში (ავტორები: ვახტანგ როდონაია, ნინო ნაკუდაშვილი, ავთანდილ არაბული, მარინე ხუციშვილი, გამომცემლობა „სწავლანი“ – 2012 წ.) შესულია ბალადა „თავფარავნელი ჭაბუკი“.

ბალადის დასაწყისი ასეთია: *„თავფარავნელი ჭაბუკი ასპანას ქალსა ჰყვარობდა“.* ჩვენი მიზანია, გავარკვიოთ ასპანა სად მდებარეობს, არ შევუდგებით ლექსის მიმოხილვას. ცნობილია, რომ თავფარავანი და ასპანა სოფლებია ჯავახეთში. ბალადის ვარიანტებში ასპანაც არის ნახსენები და ასპინძაც. მიხეილ ჩიქოვანი აღნიშნავს: *„ასპარელი, ასპინძელი ქალი შეიძლება, ისე მოიქცა, როგორც ეთერი და ჰერო“* („ქართული ფოლკლორი“).

ასპინძა – ცნობილი რაიონული ცენტრის სახელწოდება ირანულია, ნიშნავს „სადგურს“, „სასტუმროს“, „დასასვენებელ ადგილს“. ეს სიტყვა ნასესხები აქვს: სომხურს, ბულგარულს, თურქულს. „მასპინძელი“ ასპინძისაგან მა-ელ აფიქსების დართვით არის მიღებული (ზურაბ ჭუმბურიძე, „რა გქვია შენ?“, ნაკადული – 1971).

*„ასპანადან ნაწარმოებია გვარებიც, კერძოდ: ასპანიძე - ძველი ქართული ფეოდალური საგვარეულო სახელი, XII საუკუნეში ასპანიძენი ტაოს მფლობელნი იყვნენ და ფანასკრეტულად იწოდებოდნენ. მათი ერთი შტო XV საუკუნეში გადმოსახლდა ქართლში და ფანასკრატელ-ციციშვილად იქცა. არსებობს გვარი ასპანაშვილიც, რუისპირი (თელავის რაიონი) საკუთარი სახელისაგან ასპანა, ასპან, სპარსულად ასპაჰან“* (ილ. მაისურაძე, „ქართული გვარ-სახელები“, გვ. 24).

საქართველოში იყო სოფელი ასპანა, ახლა მისი სახელწოდებაა ასფარა, მდებარეობს სამცხე-ჯავახეთის მხარის ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ფარავნის ტბის დასავლეთ ნაპირზე, ზღვის დონიდან 2080 მეტრზე. ნინოწმინდიდან დაშორებულია 40 კმ-ით. 2002 წლის აღწერის მონაცემებით, სოფელში ცხოვრობს 107 კაცი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასპან სპარსული სახელწოდებაა – ასპანა, უფრო სწორად, ასპან (ასპანი) იყო დასახელებულ ქვეყანაში. „ცხოვრება ფარნავაზისი“ გვამცნობს: *„ფარნავაზ იყო მამულად ქართლელი, ნათესავი უფლოსი, მცხეთოსის ძისა და დედულად სპარსი ასპანელი“.* შიშიანობის დროს დედა ფარნავაზს სთხოვს: *„წამიყვანე მამულსა ჩემსა ასპანს“* და, მართლაც, შეასრულებს დედის სურვილს: *„და დაამტკიცეს განზრახვა ესე, წასვლა ასპანისა“.*

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი კი წერს, რომ გიორგი II წავიდა ასპანს მალიქშასთან. ასპანი, როგორც საკუთარი სახელი, XII საუკუნეში უკვე დამკვიდრებულა: *„გაღმა გასული სპარსეთს ზაქარია ასპანის ძემან შეიპყრა და დარბაზს მოგუარეს“.*

ცნობილია, რომ ასპინძა, ასპანა საქართველოში უფრო გვიანდელი სახელწოდებებია (ასპინძა პირველად 888 წელს მოიხსენიება), სპარსეთის ასპანი კი მეფე ფარნავაზის დროს მოიხსენიება, შეიძლება უფრო ადრეც.

ვახტანგ კოტეტიშვილი აღნიშნავს, რომ სიუჟეტი მომდინარეობს ბერძნული მითიდან „ჰეროსა და ლეანდრეს“ შესახებ, რომელთაც ერთმანეთი უყვარდათ, აღნიშნული სიუჟეტი გამოყენებული აქვს რომაელ პოეტს ოვიდიუსს (43 წელი ქრისტეს შობამდე – 18 წელი ქრისტეს შობის შემდეგ), გერმანელებს – კონდრად ვიუცბურგელს (XIII ს.). ფრიდრიხ შილერს. ასე რომ, ლექსში დაცული მითოსის ნაწილები (დოლაბი, მზე, წითელი ფერი). გვაფიქრებინებს, რომ ბალადაში ნახსენები ასპანა შეიძლება იყოს არა ჯავახეთის სოფელი, არამედ – სპარსეთის.

# პიროვნული პოზიციის გაზიარების კულტურა ლიტერატურულ ტექსტებში

ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი დიდაქტიკისა არის ის, თუ რა ვასწავლოთ და როგორ ვასწავლოთ მოზარდებს, როგორი უნარ-ჩვევები განვუვითაროთ მათ, როგორ ჩამოვაყალიბოთ სწავლების პროცესში ისინი, როგორც პიროვნებები, ზნეობრივი ადამიანები, ვინაიდან სწორედ ზნეობრივ გმირს შეუძლია მამულის აწმყოს მშენებლობა და საუკეთესო მომავლის განჭვრეტა. დიდი ილია პოემაში „აჩრდილი“, ბრძანებდა: *„ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგადს ცხოვრებას და, მცნების მადლით ზეაღზიდულ, ამაღლებული ჭკვით არ განსჭვრიტავს საზოგადო ცხოვრების დენას“.*

დასამალი არ არის, რომ აღსაზრდელები გაკვეთილებზე მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების დროს ერთობლივად პასუხის გაცემას ცდილობენ ხმის აწევით, ყვირილით, პირადული მეს რეალიზაციას – თანატოლების დაჯაბნით. ასეთი „აქტივობები“, რა თქმა უნდა, მიუღებელია. მოზარდმა უნდა ისწავლოს თანატოლის მოსმენა ბოლომდე, თუნდაც მცდარ პასუხს გადმოსცემდეს იგი, უნდა გაიაზროს მისი პასუხი, შეისწავლოს პატივისცემის კულტურა მოსაუბრის მიმართ...

ამ მხრივ, მხატვრული ლიტერატურა მოსწავლეთა მორალურ განვითარებაზე დიდ ზემოქმედებას ახდენს.

შევჩერდები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“.

ლიტერატურული ტექსტი მასწავლებელს საშუალებას აძლევს არა მარტო გადასცეს ცოდნა აღსაზრდელებს, არამედ გაკვეთილებზე გამოუმუშაოს ისეთი უნარ-ჩვევები, როგორიცაა: კითხვითი, დამოუკიდებელი, შემოქმედებითი, კვლევა-ძიებითი და, მათ შორის, ლიტერატურულ პერსონაჟთა აზრების ურთიერთპატივისცემის კულტურაც, რაც ასე საჭიროა დღევანდელი საზოგადოებისათვის, რომელიც დემოკრატიულ ქვეყანას აშენებს.

არაბეთის მეფემ, როსტევანმა, *„იხმნა ვაზირნი“* რა თავისთან, გააცნო სურვილი, რა თქმა უნდა, არგუმენტირებული მსჯელობით, რომ *„ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია“.*

ვეზირებმა მეფეს ყურადღებით მოუსმინეს, ჰკადრეს: *„ვარდი თუ გახმეს, ეგრეცა გვმართებს მისივე ჯერობა“*, მაგრამ მაინც პატივი მიაგეს მის წინადადებას და დაასკვნეს: *„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“.*

მეფე როსტევანი შვილს, თინათინს, არიგებს: *„რასაცა გასცემ, შენია, რაც არა დაკარგულია!“, რომ „უხვსა ჰმორჩილებს ყოველი“.* რასაკვირველია, *„ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა“* და ხაზგასმითაა *წარმოდგენილი ტაეპი: „ყურსა უპყრობდა, ისმენდა წვრთნასა არ მოიწყინებდა“.*

სწორედ მოსმენის კულტურა და დამოუკიდებელი ძიების უნარი უნდა გამოვუმუშავოთ მოსწავლეებს სწავლების პროცესში, აგრეთვე მათი ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, თუ როგორ ხვდებიან ლიტერატურული პერსონაჟები ერთურთს, როგორ მიმართავენ, როგორ ახერხებენ პიროვნული პოზიციის გაზიარებას, პატივისცემას.

გაკვეთილმა გარკვეული როლი უნდა შეასრულოს ყველა იმ ღირებულებების წარმოჩენაში, როგორიც არის შემწყნარებლობა, უცხოს პატივისცემა, თავისუფლებისკენ ლტოლვა, დემოკრატიული აზროვნება.

მოსწავლეებს უნდა გავააზრებინოთ, რომ მეფე როსტევანი პიროვნულად არ წყვეტს სახელმწიფოებრივ საკითხს, სამეფო დარბაზისაგან იღებს რჩევას ძის, თინათინის, მეფედ დასმის შემთხვევაში, ასე მოქმედებს ტარიელიც, როცა იგი გაემგზავრება ხატაეთში პრობლემის მოსაგვარებლად: *„გვერდსა დავისხენ ვაზირნი, ვიუბნეთ, გავიზრახენით“.* ვეზირებმა მას რჩევა მისცეს: *„ჩვენ ამას ვარჩევთ, წახვიდე კარგითა მართ მამაცითა, ლაშქარი ახლოს გეკიდნენ, სცნობდნენ ამბავსა კაცითა, გულ-მართლად იყვნენ, მიენდევ, აფიცე ღმრთითა და ცითა, არ დაგმორჩილდნენ, შეჰრისხდი რისხვით კვლა და კვლაცითა“.* ტარიელმა მიიღო მათი წინადადება: *„მეკეთა ესე თათბირი, ვაზირთა ნავაზირები“.*

პოემაში არის ისეთი ტაეპებიც, რომელშიც ასახულია პერსონაჟის გაგულისება, გაცოფება, მოსაუბრის მიმართ უპატივცემულობა. კერძოდ: ვეზირი სოგრატი ავთანდილმა შეგზავნა მეფე როსტევანთან, რომ დაეთხოვა იგი, მეფემ მოუსმინა, მაგრამ *„გაგულისდა, გაავცნობდა“... „შეუზრახნა: რა სთქვი, შმაგო“* და *„სკამი შემოსტყორცნა“...* მაგრამ შემდეგ თავში გვახსოვს მეფე, ეს პირველი არისტოკრატი, იბარებს კვლავ ვეზირს და ეუბნება, რომ მას არაფერი ახსოვს, როგორ შურაცხყო, რატომ გამოლანძღა იგი, რასაკვირველია, ერთგვარი ბოდიშის მოხდას წარმოადგენს ყმის მიმართ ეს სცენა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სამი გმირის თათბირი. ისინი, რა თქმა უნდა, ქაჯეთის ციხის აღების დროს წინასწარ თათბირობენ, ისმენენ ერთმანეთის მოსაზრებებს და კამათით სრულ ჭეშმარიტებამდე მიდიან.

პირველი, როგორც ცნობილია, ფრიდონი აცნობს თავის წინადადებას მეგობრებს, რომ მას ბავშვობაში ჯამბაზად ზრდიდნენ, ახტუნებდნენ, წვრთნიდნენ, თოკზე გასვლას ასწავლიდნენ, ახლაც საბელი გადაეგდოთ, იგი ჩუმად გაივლიდა, ჩახტებოდა სწრაფად და დახოცავდა ქაჯებს ქალაქის შიგნით, რომ მათში სალი კაცის პოვნაც გაჭირდებოდა.

მეგობრებმა მოუსმინეს, პატივი სცეს მის წინადადებას, მაგრამ ავთანდილმა დაუწუნა აზრი: *„სათათბიროზ ძნელსა თათბირსა“*, თოკზე გასვლას, რომ დაიწყებ, ისინი გაიგონებენ და: *„წაგიხდეს ცუდად ყველაი“* და ასკვნის: *„ეგე თათბირი არ ვარგა“... „მე მარტო შევალ, ვაჭრულად შევატყუები“...* ამ წინადადებით გმირი თავისთავზე იღებს პასუხისმგებლობას, რომ მარტოდმარტო შეებრძოლოს ქაჯებს და მეგობრებს კარი გაუღოს...

შემდეგ ტარიელის წინადადებას გაეცვნენ – შემტევითს, პირდაპირს. მან შეაქო მეგობრები, ლომგულთა კიდევ უფრო მეტი გმირობა დავინახეო, თუმცა:

*„მაგა თათბირსა ესე სჯობს,*
*ვქნათ ჩემი მონახსენები,*
*გავიყოთ კაცი ას-ასი,*
*რა ღამე ჩნდეს ნათენები,*
*სამთავე სამგნით მოვმართოთ,*
*ფიცხლა დავსხლიტოთ ცხენები,*
*მოგვეგებიან, ვემცნობით,*
*ჩვენ ხრმალსა მივცეთ მძლე ნები.“*

ე.ი. გმირები თათბირის, ერთმანეთის რჩევის, აზრების ურთიერთპატივისცემის გზით მივიდნენ ჭეშმარიტებამდე:

*„კვლა ერთმანეთსა მიუგეს*
*სიტყვები არ პირ-მკვახები,*
*დაასკვნეს იგი თათბირი,*
*ტარიას განაზრახები.“*

ამრიგად, ქართულ ლიტერატურაში მრავლად არის იმის მაგალითები, როდესაც გმირები დემოკრატიული აზროვნებიდან გამომდინარენი მსჯელობენ, საუბრობენ, ერთმანეთს უსმენენ, იზიარებენ ერთმანეთის წინადადებებს, ამჟღავნებენ პატივისცემის კულტურას მოსაუბრის მიმართ და აკეთებენ სათანადო დასკვნებს. ეს მაგალითები გარანტიაა იმისა, რომ ამ ღირებულებებით გაზრდილი ადამიანები სულიერად კეთილშობილნი, ზნეობრივად ამაღლებულნი, სახელმწიფოსათვის ღირსეულნი და სასარგებლონი იქნებიან.

**მანანა ყაბანაშვილი**
*კასპის პირველი საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*

## ნიგნის თარო მიმდინარეობს ხელმოწერა












სამი ტომის ფასი 15 ლარი

## რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
6. მენინები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
9. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საქანელა - რენუარი
11. საკვირაო გასეირნება, გრან-ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

## თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ქართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. ხილ-ბოსტნეული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საქართველო

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

## თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ქვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. ძველი რომი
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

## ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის
## მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელოვანი
6. აკაკი ბაქრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიშაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ ხუცესი
14. იოანე საბანისძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. აკაკი წერეთელი
20. რუსთაველი
21. თეიმურაზ I
22. ვახტანგ VI
23. გიორგი მერჩულე
24. გრიგოლ ორბელიანი
25. დავით აღმაშენებელი
26. გურამ ასათიანი
27. გრიგოლ რობაქიძე

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

# მიმდინარეობს ხელმოწერა. შემოგვიერთდით!

## „მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

თითო ტომის ფასი – 12 ლარი






- მარგარეტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან** ახალი
- ალბერ კოენი - **დედაჩემი** ახალი
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები** ახალი
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა** ახალი
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- ერიხ მარია რემარკი - **სამი მეგობარი**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**

## გამომცემლობა „დიოგენესა“ და გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალური პროექტი




კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
თამაზ ვასაძე

~~11 ლარი~~
9 ლარი



„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“

თამარ ბეროზაშვილი

10 ლარი




მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია
~~45~~ 35 ლარი




საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია
~~30~~ 26 ლარი




ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია
~~40~~ 30 ლარი



ილია ჭავჭავაძე, ორტომეული
16 ლარი




საქართველოს ისტორიული ატლასი
5.70 ლარი




**„რა არის რა“**
50-ტომეული
ერთი ტომის ფასი
~~ნაცვლად 11 ლარისა~~
**9 ლარი**

- მსოფლიოს 7 საოცრება
- ავტომობილი
- ამინდი
- დიდი აღმოჩენები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- გამოგონებები
- განძის ძიება
- გლადიატორები
- დრო და კალენდარი
- ძველი ეგვიპტე
- ევროპა
- ვიკინგები
- კოშკები
- კრიმინალისტიკა
- მათემატიკა
- მეცნიერებები
- მსოფლიოს რელიგიები
- ძველი რომი
- ძველი საბერძნეთი
- სამურაი
- უდაბნო
- უძველესი ადამიანები
- ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ფიზიკა
- ჩაძირული ქალაქები
- ქიმია
- მეკობრეები
- ოლიმპიური თამაშები
- მთები
- ჯანსაღი კვება
- არქიტექტურა

## ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-V ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა (7-ტომეული), I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული),
  I, VI, VII,VIII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-VI ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-V ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-X ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-V ტომი – 13 ლარი

**მითითებულია თითო ტომის ფასი**

**ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:**
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ა/აGE93LB0113314052305000, ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
**შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!**

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK